# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 19 თებერვალი · 1998 №24 (559) · ფასი 40 თეთრი




[illegible] ფოტო

# ჩვენი სხვებს ეშინოდეთ!

## მალტაზე ჩვენები ვიკინგთა თავკაცს დაუზვერავს

კურიოზია, აბა, რა... კაცს გაესაუბრო, ამბები მოკითხო, ბოლოს გუნებაში გაიფიქრო, ნეტავ უნიჭო მზვერავი გამოდგესო, იქაურობას მწირი ინფორმაციით, უემურად გაეცალო და ზუსტად ერთი კვირის შემდეგ შეიტყო, რომ ამ პიროვნებამ „სარბიელს" ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა. ალბათ, დაგაინტერესებთ, ვისზეა ლაპარაკი, ინტერვიუ ვის დაუმადლებიაო. არადა, 10 თებერვალს, „ტა-ქალის" სტადიონის პრეს-ლოჟაში ერთ ნორვეგიელს რომ ვესაუბრე და 14 თებერვლის „სარბიელში" მასთან ინტერვიუც გააზლეთ, არ ვიცოდი, მისივე თქმით, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი ნილს სემბა, ვიკინგთა ნაკრების მომავალი მწვრთნელი თუ იყო. ეს ის კაცია, ვინც ნორვეგიელებს ჩვენთან სათამაშოდ მოამზადებს და არა ის, რომელიც თითქოს მხოლოდ გვზვერავდა.

გუშინ, ოსლოდან ახალდაბრუნებულმა ვლადიმერ გუცაევმა გვითხრა — როცა კალენდრის შესათანხმებლად ოთახში შევედი და ეს კაცი დამხვდა, გამიკვირდა, ვკითხე, აქ რა გინდათ-მეთქი, მან კი, წარბიც არ შეიხარა, მიპასუხა, როგორ, მე თუ არა, სხვა ვინ უნდა დაგხვედროდა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნორვეგიის ნაკრებს მე ვიბარებო. გუცაევს ისიც უკითხავს, ქართველ ჟურნალისტს რატომ არაფერი უთხარიო, პასუხი კი ასეთი ყოფილა — არ მსურდა, ჩემი იქ ყოფნის ამბავი გამომემზეურებინაო. მოკლედ, იცოდეთ, „სარბიელი" ნორვეგიის ნაკრების ახალ მწვრთნელ ნილს სემბას ესაუბრაო, მოგვახსენა ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა, მერე კი კალენდარზეც გვითხრა.

— არ ვიცი, საქართველოში რა იფიქრეს, მაგრამ ჩვენ მეტოქეებთან მოლაპარაკების შემდეგ კმაყოფილები დავბრუნდით. რვა საათი ვისხედით და კალენდარს ვათანხმებდით. საუკეთესო ვარიანტზე შევთანხმდით. იდეალურიაო, ვერ გეტყვით, მაგრამ საშუალოზე უკეთესი ნამდვილად არის. ბოლო სიტყვა ჩვენზე იყო. ყველა გუნდი ერთმანეთთან შეთანხმებული გაზლდათ, მხოლოდ ჩვენ და ნორვეგიამ ვერ მოვილაპარაკეთ, ჩვენი შეთავაზებ მათ არ აძლევდათ ხელს, იმათი — ჩვენ. საბოლოოდ პრინციპული პოზიცია დავიკავეთ — არ დაგვითმობთ? ნურც ჩვენგან ელით ამგვარსო — განვუცხადეთ. დრო გადიოდა, ალბანეთის, ლატვიისა და სლოვენიის წარმომადგენლებმა მიგვატოვეს, სავახშმოდ წავიდნენ, იქ დარჩენილები კი ისევ ვსაუბრობდით. საქმე თითქმის შეუთანხმებლად მთავრდებოდა, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რომ წამოდგა და 30 მაისს ვითამაშოთო, გვითხრა. უეფას დადგენილ კალენდარში ეს თარიღი არსად არის მინიშნებული, მაგრამ ომდალმა ისიც დაამატა, თუ დაგვთანხმდებით, ამ საკითხის უეფაში მოგვარებას ჩემს თავზე ვიღებო. უეფას ვიცე-პრეზიდენტს ეს შეუძლია და უფლებაც აქვს.

ნორვეგიელებს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თბილისში სტუმრობა შევთავაზეთ, სამჯერ გავუმეორე. პირველად საქართველოში ვითამაშოთო, მაგრამ მასპინძლებმა უსასტიკესი უარი გვითხრეს, მსოფლიოს ჩემპიონატის მერე არაფრით არ გაგეჯიბრებითო. ბოლოს, მაინც შევთანხმდით.

საბერძნეთიდან ახალდანიშნული მწვრთნელი, ანგელ იორდანესკუც მონაწილეობდა. კალენდრით ისიც კმაყოფილი დარჩა. მითხრა — მეგობრები ვართ, ერთად გვიმუშავია, აზრი არ აქვს, რაიმე დაგიმალო, ინფორმაციასაც მოგაწვდი, უჩემოდაც კარგად გეცოდინება ჩემებური თამაშის სტილი და მანერა, ვითამაშოთ, ვინც უკეთ იბრძოლებს, იმან გაიმარჯვოსო. რაც შეეხება იმას, რომ ნორვეგიელებთან თამაშის შემდეგ ექვს დღეში ბერძნებს ვმასპინძლობთ, ვფიქრობ, უსაშველო არაფერია — თუ ოსლოში ვიმარჯვეთ, ხომ კარგი, თბილისში იორდანესკუს ბიჭებს შესანიშნავი ფსიქოლოგიური განწყობით დავუხვდებით, თუ არადა, გამწარებულებმა, ბერძნებს თბილისში შავი დღე უნდა გავუთენოთ. ღმერთმა ქნას, ოსლოშიც და თბილისშიც გავიმარჯვოთ. ამაზე უკეთესი რა იქნება. ჩვენ ვეცდებით, ვიბრძოლებთ, კაცურად ვითამაშებთ, ვირწმუნოთ, რომ იღბალიც ჩვენს მხარეს იქნება. არ დაგვიწყდეთ, ნორვეგიელებს ჩვენზე მაღალი წარმოდგენა აქვთ — უნდა გავამართლოთ.

გუცაევთან საუბრის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ნოდარ ანდრიაძესაც ვთხოვეთ ორიოდ სიტყვის თქმა, მანაც რევაზ ძოძუაშვილივით ქუთაისურად მოუქცია, აქ ყველას რომ განწირული აუტსაიდერები ვგონივართ, არც მთლად ასეა საქმე, ჩამოხვალთ რიგაში და სეირს გიჩვენებთო — ასე ემუქრებოდა მიხიჩა დანარჩენ მეტოქეთა წარმომადგენლებს ძოძუაშვილის მესმის, კალენდრის შედგენისას ძირითადი აქცენტი მაინც ქართველებზე, ნორვეგიელებზე და ბერძნებზე კეთდებოდაო, დასძინა ნოდარ ანდრიაძემ. ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ კი გვითხრა, საქართველო ყველასთვის ანგარიშგასაწევი რომ არის, ოსლოს შეხვედრამაც დაადასტურა, ხუთივე გუნდის წარმომადგენელი დიდი პატივისცემით და მოკრძალებით გვეპყრობოდა, უჩვენოდ არავინ არაფერს წყვეტდაო. ისაც დაამატა, ნურავინ იფიქრებს, სხვებზე უარესი ან უკეთესი კალენდარი გვქონდეს, სამივე ქვეყანას თავიდანვე ფავორიტებად მიგვიჩნევდნენ, პირველი თამაშების მასპინძლობაც ჩვენ გვეკუთვნოდა, ნორვეგიელთათვის და ბერძნებისთვის იოტისოდენაც არ დაგვითმია, როგორც თანასწორნი, ისე ვსაუბრობდითო.

**კობა ინასარიძე**

| ამხანაგური მატჩები |
|---|
| **საბერძნეთი 1:1 რუსეთი** |
| 1:0 ფრანცესკოსი (9), 1:1 კოლივანოვი (66) |
| **ომანი 0:2 გერმანია** |
| 0:1 კოლერი (26), 0:2 მაინრიხი (61) |

# მეხუთე კოლონა მეორე დივიზიონის საზღვართან

## სითელ ქართველებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ

ჩვენში ყველამ იცის რა არის „მეინ როუდი", ვინ არის უვე როსლერი, ფრენსის ლი, ფრენკ კლარკი... როკ ჯგუფი „ოაზისიც" საყოველთაოდაა ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს შესაძლოა სულაც არ უყვარს მუსიკის ეს მიმდინარეობა, ანდა სულაც მუსიკა.

ცხადია ყველა უმალ მიხვდა, რაზეცაა საუბარი. ყველაფერს, ჩამოთვლილს აერთიანებს ინგლისის პირველი საფეხბურთო დივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერი „მანჩესტერ სიტი". ჩვენ და „სიტის" კი გიორგი ქინქლაძე, კახა ცხადაძე და მურთაზ შელია გვყავს საერთო.

ამიერიდან ქართველი გულშემატკივრის ლექსიკონს მოაკლდება ორი სიტყვა: ფრენკი და კლარკი. პირველი სახელია, მეორე კი გვარი კაცისა, რომელიც 14 თვის განმავლობაში „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელად მუშაობდა. იგი გუშინ თანამდებობიდან გადააყენეს. მიზეზი: კლუბის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, „სიტი" პირველ დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზე ყოფილიყო. ეს ახლა, კლარკის ხელში მოხდა.

გუშინვე კლარკის ნაცვლად თანამდებობაზე დაინიშნა ჯო როილი, „ევერტონის" ყოფილი ხელმძღვანელი, „სიტის" 1974-1980 წლების ფეხბურთელი. როილმა პირველი პრეს-კონფერენციაც გამართა.

54 წლის კლარკმა წასვლის წინ დაიბარა: — ეჭვი მაქვს, რომ „სიტიში" მეხუთე კოლონა მოქმედებს. ის პირადად მე კი არ მებრძოდა, მას კლუბის წინააღმდეგ აქვს გამოცხადებული „ვენდეტა" და ამიტომაც აქ მწვრთნელად მუშაობა მეტისმეტად ძნელია. „სიტი" სტაბილურობას მანამდე ვერ მიაღწევს, სანამ მის შიგნით ასეთი მდგომარეობა იქნება.

47 წლის ჯო წინამორბედს არ ეთანხმება: — მე საგანგებო საწუხარს ვერაფერს ვხედავ. დიახ, ჩვენ გვაქვს სირთულეები მაგრამ მათი გადაჭრა სრულიად შესაძლებელია. მე „მეინ როუდზე" ყველას ძალიან კარგად ვიცნობ. ისინი ზედმიწევნით პატიოსანი ხალხია და თუ ასევე გააგრძელებენ ყველაფერი კარგად იქნება. „ევერტონის" მწვრთნელის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ თოთხმეტმა კლუბმა შემომთავაზა სამსახური, მაგრამ ერთმაც არ დამაინტერესა, გარდა ამისა. „სიტი" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, აქ ყოფნა დიდებულია, ბედნიერი ვარ რომ დავბრუნდი. ჩვენ ყოველ ტურში 25 ან 30 ათასი გულშემატკივარი გვესწრება, ასე რომ ყველაფერი კარგად უნდა იყოს. ვიცი, გავარდნის საშიშროება დიდია, შეცდომის უფლება არ გვაქვს, მაგრამ წინ კიდევ 15 თამაშია და დიდი ბრძოლებიც ახლა იწყება. „სიტის" დღევანდელი მდგომარეობა ძალიან ჰგავს იმას, ჩემი „ევერტონში" მისვლის დროს რომ იყო, ამიტომაც ვიცი როგორი სულისკვეთებაც გვჭირდება. ამ სეზონში რამდენჯერმე ვნახე „სიტის" თამაში. შევნიშნე, რომ ფეხბურთელები არეულად თამაშობდნენ, მაგრამ თავარი პრობლემა მაინც მორალურია. ჩვენ დაუყოვნებლივ, სწორედ მორალურ მხარეს უნდა მივხედოთ. „სიტიში" მოთამაშეები თავიანთ უნარს სრულყოფილად ვერ ავლენენ. ისინი საერთაშორისო კლასის ოსტატები არიან და მე მინდა მათგან მაქსიმუმი მივიღო.

იხილეთ მეოთხე გვერდი



**ელგუჯა ბერიშვილი**

ნაგანოდან

არა, ტრანსპარანტები არსად შეგვხვედრია („კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", „მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო" და სხვა ამგვარი) — არც გზაზე, არც რომელიმე შენობის ფასადზე, მაგრამ იყო ომახიანი „გამარჯობათ!". ამას მოჰყვა საქართველოს ჰიმნი ათითორმეტი წლის ყმაწვილთა შესრულებით და ბევრი გულითადი სიტყვა — ნანაიას სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ წარმოთქმული.

ერთი ქვეყანა — ერთი სკოლა. ასე ჰქვია საგანგებო პროგრამას, რომელიც ოლიმპიადის ორგანიზატორებმა შეადგინეს და თითოეული ქვეყნის დელეგაციის ნაგანოს რომელიმე სკოლაში სტუმრობას ითვალისწინებს.

გუშინ ქართველებს ნანაიელები გვმასპინძლობდნენ. ცხრაკაციანი დელეგაციით ვეახლეთ ჩვენს „შეფებს", რომლებმაც საოცრად თბილი და ერთობ ეგზოტიკური შეხვედრა მოგვიწყვეს. უფრო ზუსტად, ორი შეხვედრა: ჯერ ფილიალში, ასე ვთქვათ, სადეგუსტაციო ხასიათისა, მერე კი ძირითად სკოლაში — სრული პროგრამით. ნანაიელ ბავშვებს ბევრი რამ უსწავლიათ საქართველოზე, მათ შორის ისიც, რომ საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა, ქართველები კი სტუმართმოყვარე ხალხია. აქ ხარობს ვაზი და აყენებენ ჩინებულ ღვინოს. იაპონელ ყმაწვილებს სურთ გაიცნონ ქართველი თანატოლები და მოინახულონ ჩვენი ქვეყანა. მათ იციან, რომ ქართველი ბავშვები კეთილ ები და მხიარულები არიან, მაგრამ არ იციან (არც არის საჭირო), რომ ამ ბავშვებს აკლიათ სითბო, სინათლე და ბევრი სხვა რამ, რაც იაპონელისთვის წარმოუდგენელი და დაუჯერებელია. ნანაიელები, თურმე, აქ ნაგანოში მხოლოდ ქართველებს და იაპონელებს ქომაგობენ, ნახეს ჯიჯიშვილისა და წაქაძის გამოსვლა... ყველაფერი ეს ითქვა შეხვედრის „ოფიციალურ ნაწილში", რასაც საათნახევრიანი ტაშ-ფანდური და „მხიარული თამაშები" მოჰყვა.

უფროსმა მასპინძლებმა თავიდანვე გაგვაფრთხილეს: თუ ჩვენი ბავშვების გულის მოგება გინდათ, აუცილებლად უნდა ეცეკვოთ და ეთამაშოთო — ჩვენც რა გზა გვქონდა: ვიცეკვეთ და ვითამაშეთ. თავიდან მორცხვად და მორიდებით, მერე კი თამამად და გატაცებით. ომარ გოგიაშვილი ჯიუტობდა, არა, მაგას ვერ ვიზამ, უხერხულიაო, ბოლოს და ბოლოს, პროფესორი კაცი ვარო, მაგრამ ვინ გაუგონა: ეძგერნენ ბავშვები და ძალით შეიყვანეს წრეში. ემზარ ზენაიშვილსაც იგივე დამართეს. ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო და, ჯანო ბაგრატიონი „ნებაყოფლობით" შეუერთდა დანარჩენებს. მოკლედ, ქართველებმა იაპონური ცეკვისა და ხალხური თამაშების მთელი არსენალი ავითვისეთ, ბოლოს კი ეროვნული კერძების დამზადებაშიც მივიღეთ მონაწილეობა და სახელდახელოდ გაწყობილ სუფრაზე ამ კერძებს გემოც გავუსინჯეთ. ბოლოს ბავშვებს საჩუქრები და ბლომად ავტოგრაფები ჩამოვურიგეთ.

ოლიმპიური მედალი ვერა, მაგრამ ნანაიელების გული ნამდვილად მოვიგეთ.

ეს ყველაფერი გუშინ იყო. დღეს კი სოფო ახმეტელის ჯერია — დილით, ათის ნახევარზე ქალთა სლალომია დანიშნული.

# ტაშ-ფანდური ნანაიაში



ჩეხეთი — აშშ. დომინიკ ჰაშეკი (მარჯვნივ) ნახევარი გუნდია



ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული იაპონიის გუნდი

# მემუარებს ღლაპებიც წერენ

**ფიგურული სრიალი**

ნენსი კერიგანისა და ტონია ჰარდინგის ცნობილი კონფლიქტი ქალთა ფიგურულ სრიალს მეტად წაადგა — მის მიმართ ინტერესი ერთი-ათად გაიზარდა. ამ დისციპლინაში ამჟამად ისევ ორი ამერიკელი პაექრობს, მაგრამ ნენსისა და ტონიასგან განსხვავებით, 17 წლის მიშელ კვანი და 15 წლის ტარა ლიპინსკი კეტით, დანებითა და ამგვარი საშუალებებით ურთიერთობის მოგვარებას ყინულზე ბრძოლას ამჯობინებენ. ჩინური წარმოშობის კვანი 1996-ში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ შარშან ელიტაში მოულოდნელად გამოჩენილ ტარასთან, რომელიც 14 წლის ასაკში ყველა დროის უმრწმესი მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა, ყველა ბოლოლა ტურნირზე დამარცხდა. დეკემბერში კვანმა მარცხენა ფეხის თითი მოიტეხა, მაგრამ ამერიკის პირველობისთვის ფორმის დაბრუნება მაინც მოასწრო და ლიპინსკის ჯავრიც იყარა. დუელი ამერიკულ მას-მედიას ყურადღებიდან არ გამოპარვია, სპორტსმენები ჯეი ლენოსა და ოპრა უინფრის შოუში მოხვდნენ, ნაგანოს წინ „თაიმმა“ და „ნიუზუიქმა“ ბლომად სტატიებიც გამოაცხვეს, თავად ფიგურისტებმა კი საკუთარი მემუარების (!) გამოცემითაც მოასწრეს ხელის მოთბობა.

მოკლე პროგრამაში ლიპინსკიმაც და კვანმაც უშეცდომოდ იასპარეზეს, მაგრამ უფრო რთული ნახტომების მიუხედავად, მინიატურულ ტარას (მისი სიმაღლე 1,47 მეტრი, წონა — მხოლოდ 37 კილოგრამია) შედარებით დაბალი ქულები არგუნეს, კვანს კი არტისტულობისთვის შეთანხმებულივით ყველა მსაჯმა 5,9 დაუწერა. ამათ პაექრობაში ჩარევის შანსი კიდევ ორ ფიგურისტს აქვს — წლევანდელ ევროპის ჩემპიონს, რუს მარია ბუტირსკაიასა და 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ლუ ჩენს, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა. ამერიკელებს ნაგანოში ბრინჯაოს მოპოვების იმედიც ჰქონდათ, მაგრამ ამათმა მესამე წარმომადგენელმა, ნიკოლ ბობეკმა პირველივე ნახტომზე ზღართანი მოადინა და საბოლოოდ მეჩვიდმეტე ადგილს დასჯერდა.



მიშელ კვანი (უკან) და ტარა ლიპინსკი ვარჯიშისას

**ზურაბ ქალატოზიშვილი**

# რივერა ჰოლანდიაშიც ჰყვარებიათ

**ციგურაობა**

ორი ოქროს მედალი, ორი მსოფლიო რეკორდი, ამას ჰოლანდიელი რომე, ნიდერლანდებისთვის უცნაურ სახელს რომ ატარებს — ჯანი, ვერც წარმოიდგენდა, დღეს კი ეს უკვე რეალობაა.

ნაგანოში ჰოლანდიელ მოციგურავეთა ტრიუმფი შედგა — მათ უკვე 10 მედალი მოიგეს და ძველი მიღწევა, 9 მედალი, ასევე იაპონიაში, საპოროს 1972 წლის ოლიმპიადის დროს რომ მოიპოვეს, ერთით გააუმჯობესეს.

— 5 ათასი მეტრის შემდეგ მივხვდი, რომ ჯანის ვერავინ აჯობებდა. იგი შესანიშნავად მიქროდა და ნელ-ნელა ჩვენ სულ უკან ვრჩებოდით. ნახევარი მანძილის გავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ რომეს დამწევი აღარავინ იყო. ჰოლანდიელი პირველი ექვსი წრიდან თითოს 31 წამზე ადრე ფარავდა, შემდეგი 11-დან ყველა 32 წამში გაისრიალა, ბოლოს კი რბოლა ცოტა კი შეანელა, მაგრამ მარაგი იმდენი ჰქონდა, მსოფლიოს რეკორდის დამხობა შეძლო — 1994 წელს, ლილეჰამერში ამავე დისტანციაზე ოქროს მედლის მფლობელის იოჰან ოლაფ კოსის მიღწევას (13:30.55) რომემ მთელი 15 წამით აჯობა — 13:15.33.

10 კილომეტრზე რბოლამდე ჯანი რომემ 5 ათას მეტრიანი დისტანცია მოიგო, მაშინაც მსოფლიოს რეკორდით. ის ის რბოლა საკმაოდ უცნაური იყო — სამივე მედალოსანმა მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

— ჩემთვის მთავარი რბოლის ტექნიკაა, სწორედ ამის წყალობით მოვიგე. ძალიან მიხარია. ცხადია, აქ მედლის მოსაგებად ჩამოვედი. ოქროზე ვფიქრობდი და უზომოდ მიხარია, ოცნება რომ ამიხდა. თან ორივე ოქრო მსოფლიოს რეკორდით მოვიგე. ეს ნაღდად სასწაულია — განაცხადა თითქმის ორმეტრიანმა გიგანტმა.

...საპრიზო სამეულში რომეს გარდა კიდევ ორი ჰოლანდიელი მოხვდა — ბობ დე იონგი გამარჯვებულს 130 მეტრით ჩამორჩა, მესამე პრიზიორი რინტე რისტმა კი 135-ით.

თავში ჰოლანდიელთათვის უცნაური სახელი ჯანი ვახსენეთ. საქმე ისაა, რომ აწ უკვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის მამა იტალიის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ჯანი რივერას ალმერთებდა.



ჯანი რომე

# ქეშებს კარს უკეტავენ

**სნოუბორდი**

სნოუბორდის კანადელი ჩემპიონის როს რებალიატის მარიხუანური ისტორიის შემდეგ მსოფლიოს ოლიმპიური საქმის თავკაცები შეშფოთდნენ: ეს რა გამოდის, დოპინგზე ამოტოლა კონტროლი გვაქვს დაწესებული და ქეშებისთვის ოქრო ვერ წაგვირთმევია, რახან მარიხუანა აკრძალულ პრეპარატთა სიაში კოდირებული არ გახლავთო.

ამიტომ და იმიტომ, ოლიმპიურ წმინდანებს, პრინც ალექსანდრ დე მეროდის თამადობით გადაუწყვეტიათ, ოლიმპიადას სახალხო მოხმარების პლანეულობა უნდა ჩამოვაშოროთო. ამისთვის, დე მეროდის ანტისადოპინგო კომიტეტი ქვეყანათა ფედერაციებს უნდა შეუთანხმდეს, ამათ შორის კი ისეთებიც მოიძებნებიან, რომლებიც ამბობენ, რა შუაშია თრიაქი და დოპინგი, მოდით, ამგვარ სიწმინდეზე თავს ნუ დავდებთო. თანაც, ოლიმპიური მოძრაობის მესვეურები შიშობენ, ვაითუ მარიხუანას ამგვარმა პოლიციურმა აკრძალვამ დოპინგის წინააღმდეგ წამოწყებულ საყოველთაო კამპანიას ავნოსო.

თუმცა, დე მეროდი ამბობს, რომ მარიხუანა პირდაპირ კი არ ჩაიწერება აკრძალული პრეპარატების სიაში, არამედ კოდირებული იქნება მასში შემავალი ნივთიერებები.

მოკლედ, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა.

**მთის თხილამურობა**

ზამთრის თამაშების ისტორიაში დაშვებაში პირველი დუბლის გახერხებიდან ერთი დღის შემდეგ გერმანელი კატია ზაიცინგერი საბოლოოდ ჩაეწერა ყველა დროის უდიდესთა სიაში — იგი სამი ოლიმპიური ოქროს მფლობელი მეორე სამთომოთხილამურე ქალი გახდა შვეიცარიელი ფრენი შნაიდერის შემდეგ.

# კატიას სიამოვნებს

კომბინაციის პირველი დისციპლინის — დაშვების შემდეგ ზაიცინგერი პირველ ადგილზე კი იყო, მაგრამ რაკილა სლალომში ტრადიციულად უფრო სუსტად ასპარეზობს, გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად შვედი პერნილა ვიბერგი და ავსტრიელი რენატა გოიჩლი — დაშვების შემდეგ, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე მყოფნი ითვლებოდნენ. კატიას გასახარად, ვერც ერთმა და ვერც მეორემ ჰაკუბას უმძიმეს პირობებს — ხვავრიელ ბარდნასა და ქარბუქს ალღო ვერ აუღეს და პირველივე ცდაზე ხეხეს მუცლით სასლალომო დისტანციის ფერდობები. პირველ ჯერზე საუკეთესო დრო ავსტრიელ სტეფანი შუსტერს აღმოაჩნდა, თუმცა დაშვებაში ნაჩვენები უკეთესი შედეგის გამო ზაიცინგერის მთავარ მეტოქედ მეორე ადგილზე გასული მისივე თანამემამულე მარტინა ერტლი იქცა, რომელმაც ლიდერთან ჩამორჩენა 1,2-დან ნახევარ წამამდე შეამცირა. მეორე ცდაზე თოვლი შეწყდა, ქარმაც იკლო და მოთხილამურეებმაც თითქმის ორი წამით უკეთესი შედეგები უჩვენეს. საუკეთესო დრო ამჯერად ერტლს აღმოაჩნდა, მაგრამ ზაიცინგერმა მცირე უპირატესობის შენარჩუნება მაინც შეძლო და კომბინაციაში კარიერაში პირველი, მაგრამ ასე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა: „ამდენს ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ბედი სასწაულად მწყალობს — ამინდი გუშინაც და დღესაც ჩემთვის იყო ზედგამოჭრილი“.

ზაიცინგერსა და ერტლს შესანიშნავი მეორე ცდის შემდეგ პოდიუმზე კიდევ ერთი თანამემამულე — ჰილდა გერგი შეუერთდათ, რომელიც მედლის მიღების შემდეგ ტრასაზე მოსაქმიანე პერსონალისთვის მადლობის სათქმელად გავარდა, ამ ერთი კვირის განმავლობაში იმდენი იშრომეს, უფრო მეტსაც იმსახურებენო.

ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს სამთო თხილამურობაში ერთბაშად სამი მედალი ისტორიაში აქამდე მხოლოდ ორჯერ რგებიათ — 1956 წელს ავსტრიელებს გიგანტურ სლალომში და 1994 წელს ნორვეგიელებს კომბინაციაში.

რაც შეეხება ზაიცინგერს, მას ნაგანოს შემდეგ უმნიშვნელოვანესი ჯილდოების მთელი კოლექცია დაუგროვდა. კატიას 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერ-გიგანტის ოქრო ერგო, 1996-ში კი მსოფლიო თასის საერთო ჩათვლის გამარჯვებულიც გახდა. ყველა ოცნების ასრულების მიუხედავად, 25 წლის ზაიცინგერი სპორტიდან წასვლაზე არც კი ფიქრობს: „მე ისევ დიდ სიამოვნებას მანიჭებს სხვებთან პაექრობა, დაშვების დროს სიჩქარის კონტროლი და სუნთქვისშემკვრელი ნახტომები. ასე რომ, სტიმული ჯერჯერობით ნამდვილად არ მაკლია“.

ჩქაროსნულ თხილამურობაში გაწაფული გერმანელები ახლა ტექნიკურ დისციპლინებზე — სლალომსა და გიგანტურ სლალომზე გადაერთვებიან და იქაც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, თუმცა ზაიცინგერმა შესაძლოა ამათგან პირველზე არ იასპარეზოს. ეტყობა, თავისი ორი ოქროც ყოფნის და დანარჩენი სხვისთვის ემეტება.

# მფრინავი კოვბოი სახურავიდან

**ფრისტაილი**

ფრისტაილის, სათხილამურო ჯამბაზობის ოლიმპიურ შეჯიბრზე მართლაც რომ განუმეორებელი ამბავი მოხდა. ამერიკელმა ერიკ ბერგასტმა კი მოიგო ოქროს მედალი, მაგრამ მოგებაც არის და მოგებაც. მისმა აკრობატიკამ თეთრი თამაშების მაცქირალი სამყარო აალაპარაკა.

ფრისტაილის ისტორიაში ჯერ არ გაკეთებულა ისეთი ილეთები, ბერგასტმა რომ წარმოადგინა ნაგანოს თოვლზე. ამერიკელის ტრიალებმა ხალხი განაცვიფრა. მისმა ორმაგმა საჰაერო მალაყმა კი საერთოდაც გაუგებრობა გამოიწვია: განა ეს კაცი მაიკლ ჯორდანია, რომ ჰაერში სიარული შეეძლოს?

არადა, 28 წლის ბერგასტს ბევრი არაფერი გაჰკვირვებია: „მთელი ცხოვრება დავხტივარ. ეს ჩემი საქმეა, თუ გნებავთ, ერთადერთი სიყვარულიც. შეძლებით კი, ბევრი რამ რომ შემიძლია, თავადაც ხედავთ“.

საკვირველია ამ კაცის ისტორია: მონტანას შტატში, ძირძველ კოვბოურ ოჯახში დაიბადა და იქავ იზრდებოდა ცხვარძროხის მომვლელად და ცხენების მხედნავად. 1985 წელს ერიკი ტელევიზორს უყურებდა და ჰაერში მოცეკვავეთა გამოსვლა ნახა. ამ სანახაობამ იმდენად მოხიბლა, რომ ლამის მთელი ღამე გაათენა. უეჭველად უნდა მივდიო ამ საქმესო, გადაწყვიტა ბიჭმა და არათუ მშობლებს, თავის ხუთ და-ძმასაც არ გაანდო გულისთქმა. არადა, რა უნდა ექნა? მის მხარეში თხილამურობა არ ფასობდა, ვარჯიში და გართობაც კი წარმოუდგენელი იყო.

ამიტომ, ერიკი სახლის სახურავზე ძვრებოდა ხოლმე და იქიდან ხტომაში ვარჯიშობდა, თანაც ცდილობდა, მალაყები ეკეთებინა. ამას მაშინ აკეთებდა, როცა მშობლები შინ არ იყვნენ. მაგრამ ბედი არ გინდა? ერთ დღეს შორიახლოს ჩავლილმა ბრეკენბრიჯელმა პასტორმა დაინახა მისი უცნაური ვარჯიშობა. პასტორი ერიკის მამის მეგობარი და ბერგასტების ოჯახის მოძღვარი იყო, ამიტომ შეშინდა, ბავშვს რაიმე ფარსაგი არ მოუვიდესო და ყველაფერი მამას ჩაუკაკლა. „ჩვენ ეს მისი ბავშვური ახირება გვეგონა“, ჰყვება მამამისი, „ამიტომ ვუკრძალავდით და ვსჯიდით კიდეც, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა. შინიდან გასულებს დაგვეგულებდა თუ არა, სახურავზე მიძვრებოდა“.

სამ წელიწადში ერიკ ბერგასტმა ფული შეაგროვა, 400 დოლარად რაღაც დანჯღრეული მანქანა და ტენტი იყიდა და მთელი ამერიკა გადასერა, რათა ლეიკ პლესიდში ჩასულიყო და იქ საწყლოსნო თხილამურობის ბაზაზე ევარჯიშა. ამით დაიწყო და თოვლზე გადავიდა.

„მაშინ ამავე სიმაღლის, ცხრა კილოგრამით მსუბუქი, გამწვლაკული ბიჭი ვიყავი“, ამბობს ბერგასტი. „ჰაერში ჯამბაზობა ჩემთვის ყველაფერი იყო. სწორად დაშვება ძლივს ვისწავლე, სამი წელიწადი დამჭირდა. ეს სპორტის სიყვარულმა მომახერხებინა“.

ფრისტაილის დებიუტი ლილეჰამერში შედგა. იქ ბერგასტი მეშვიდე იყო. განვლილ ოთხ წელიწადში ის მსოფლიო თასის ლიდერად და ნაგანოს ფავორიტად იქცა. მაგრამ მოსეირენი გულგრილნი დარჩნენ მისი შეჯიბრისწინა ვარჯიშისადმი. უილბლო ვარჯიშით გამწარებულმა ბერგასტმა ნაღდი ამერიკული ხასიათი გამოამჟღავნა და საყოველთაო ჯიგარი დახია. მის მიერ აღებულმა ქულებმა — 255.64 მსოფლიო რეკორდი შეადგინეს.

ასე იყო კაცის ამბავი, ქალთა ფრისტაილში კი ამერიკელი ნიკი სტოუნი და ჩინელი ძუ ნანანი დაეჯახნენ ერთმანეთს. ამერიკელმა ელემენტების სიმდიდრითა და სისუფთავით იმარჯვა და ოქროც დაისაკუთრა, რამაც მისი ბოიფრენდი მაიკლ სპენსერი ბარე ნახევარ საათს ალაპარაკა ჟურნალისტებთან.



ნიკი სტოუნის დარი მალაყები სხვამ ვერვინ შეძლო

**ზურაბ ქალატოზიშვილი**

## კვარცხლბეკი

### მედალოსნები და სხვებიც

**ფრისტაილი**

კაცები

1. ერიკ ბერგასტი (აშშ) — 255.64, 2. სებასტიენ ფუკრა (საფრანგეთი) — 248.79, 3. დმიტრი დაშჩინსკი (ბელარუსი) — 240.79, 4. ალექს ვალენტა (ჩეხეთი) — 232.25, 5. ბრიტ სუორთლი (აშშ) — 271.61

ქალები

1. ნიკი სტოუნი (აშშ) — 193.00, 2. ძუ ნანანი (ჩინეთი) — 186,97, 3. კოლეტ ბრანდი (შვეიცარია) — 171,83, 4. ტატიანა კობაჩენკო (უკრაინა) — 167.32, 5. ალა ცუპერი (უკრაინა) — 166.12

**შორტ-ტრეკი**

კაცები. 1000 მეტრი

1. დონგ-სუნგ კიმი (კორეა) 1:32,375; 2. ხიაზუნ ლი (ჩინეთი) 1:32,428; 3. ერიკ ბედარდი (კანადა) 1:32,661; 4. ენდრიუ გაბელი (აშშ) 1:32,718; 5. საოია ტამურა (იაპონია) 1:32,927; 6. ფაბიო კარტა (იტალია) 1:33,015; 7. იუნ-ხვან ლი (კორეა) 1:33,131; 8. მეტიუ ჯეიმს ჯქსპერი (ინგლისი) 1:34,285; 9. სატორუ ტერაო (იაპონია) 1:34,513; 10. ხი-ჰუნ ჩაე (კორეა) 1:34,902

ამანათრბენი. ქალები. 3000 მეტრი

1. კორეა 4:16,260; 2. ჩინეთი 4:16,383; 3. კანადა 4:21,205; 4. იაპონია 4:30,612; 5. აშშ 4:26,253; 6. ჰოლანდია 4:26,592; 7. ჩრდ. კორეა 4:27,030; 8. გერმანია 4:37,110;

**ბიათლონი**

კაცები. 10 კმ.

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 27:16,2; 2. ფროდე ანდრესენი (ნორვეგია) 28:17,8; 3. ვილე რაიკონენი (ფინეთი) 28:21,7; 4. ვიქტორ მაიგუროვი (რუსეთი) 28:36,0; 5. იეკაბს ნაკუმსი (ლატვია) 28:36,9; 6. ოლეგს მალუხინი (ლატვია) 28:37,4; 7. ფრანკ ლუკი (გერმანია) 28:40,3; 8. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) 28:40,8; 9. პაავო პუურუნენი (ფინეთი) 28:44,0; 10. პიერ ალბერტო კარარა (იტალია) 28:44,2

**სამთო თხილამურობა**

კომბინაცია. ქალები

1. კატია ზაიცინგერი (გერმანია) 2:40,74; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) 2:40,92; 3. ჰილდა გერგი (გერმანია) 2:41,50; 4. სტეფანი შუსტერი (ავსტრია) 2:42,25; 5. მორენა გალიციო (იტალია) 2:42,52; 6. ფლორანს მასნადა (საფრანგეთი) 2:42,84; 7. კაროლინ ლალივი (აშშ) 2:44,76; 8. იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 2:45,23; 9. ალექსანდრა მაფერი (აშშ) 2:45,24; 10. კატერინ ბორგი (შვეიცარია) 2:45,33

**ტრამპლინიდან ხტომა**

გუნდური პირველობა

1. იაპონია 933,0; 2. გერმანია 897,4; 3. ავსტრია 881,5; 4. ნორვეგია 870,6; 5. ფინეთი 833,8; 6. შვეიცარია 735,0; 7. ჩეხეთი 710,3; 8. პოლონეთი 684,2; 9. რუსეთი 639,7; 10. სლოვენია 610,3

**ციგურაობა**

კაცები. 10 000 მეტრი

1. ჯანი რომე (ჰოლანდია) 13:15,33; 2. ბობ დე იონგი (ჰოლანდია) 13:25,76; 3. რინტე რისტმა (ჰოლანდია) 13:28,19; 4. ბარტ ველდკამპი (ბელგია) 13:29,69; 5. კიელ სტორელიდი (ნორვეგია) 13:35,95; 6. ფრანკ დიტრიხი (გერმანია) 13:36,58; 7. ლას სვეტრი (ნორვეგია) 13:42,94; 8. კეისი ბუტიეტი (აშშ) 13:44,03; 9. რობერტო ზიგელი (იტალია) 13:46,85; 10. ალექსანდრ ბაუმგარტელი (გერმანია) 13:48,44

**ფიგურული სრიალი**

ქალები. მოკლე პროგრამა

1. მიშელ კვანი (აშშ) 0,5; 2. ტარა ლიპინსკი (აშშ) 1,0; 3. მარია ბუტირსკაია (რუსეთი) 1,5; ლუ ჩენი (ჩინეთი) 2,0; ირინა სლუცკაია (რუსეთი) 2,5; სიურია ბონალი (საფრანგეთი) 3,0; 7. ელენა ლიაშენკო (უკრაინა) 3,5; 8. ვანესა გუსმეროლი (საფრანგეთი) 4,0; 9. ტატიანა მალინინა (უზბეკეთი) 4,5; 10. ელენა სოკოლოვა (რუსეთი) 5,0;... 18. იულია ვორობიოვა (აზერბაიჯანი) 9,0

**ქვეყნების მონაგარი**

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 8 | 4 | 1 |
| გერმანია | 7 | 8 | 7 |
| ნორვეგია | 7 | 8 | 4 |
| კანადა | 4 | 4 | 3 |
| ჰოლანდია | 4 | 4 | 2 |
| აშშ | 4 | 1 | 4 |
| იაპონია | 4 | 1 | 3 |
| ავსტრია | 2 | 3 | 7 |
| ფინეთი | 2 | 3 | 2 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 3 |
| კორეა | 2 | 0 | 0 |
| იტალია | 1 | 3 | 2 |
| ჩინეთი | 0 | 3 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 1 | 1 |
| შვედეთი | 0 | 1 | 0 |
| უკრაინა | 0 | 1 | 0 |
| დანია | 0 | 1 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 1 |

# მე ეს შევძელი!



იაპონელ მასაჰიკო ჰარადას ოქროს მედალი ლილეჰამერის ოლიმპიადაზეც უნდა რგებოდა, მაგრამ გუნდურ შეჯიბრში ბოლო ნახტომი გააფუჭა და თავისიანებს პირველობა დააკარგვინა. უკეთესი დასაწყისი ჰარადას არც ამჯერად ჰქონდა — პირველ ცდაზე 120-მეტრიანი ტრამპლინიდან მხოლოდ 79,5 მეტრი იფრინა და იაპონია მეოთხე ადგილამდე დაქვეითა. იაპონელები ჰარადას მეორე ცდისთვის მეორე ადგილზე მყოფ გერმანელებს მხოლოდ 5 ქულით უსწრებდნენ და პირველობის შესანარჩუნებლად ნერვიული ჰარადას მორიგი „გმირობა“ ნამდვილად არ წაადგებოდათ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხასიათის სიმტკიცე მასაჰიკომაც გამოიჩინა, ნახტომისწინა დაღმართი ერთ სულის მოთქმით ჩაათავა და თეთრ ფერდობზე ლამის ნახევარი წუთი იფრინა — ისევ 137 მეტრი, ახალი ოლიმპიური რეკორდის გამეორება. იაპონელთა გამარჯვებას მსოფლიო თასის გათამაშების ლიდერმა, კაცუიოში ფუნაკიმ მომდევნო ცდით საბოლოო წერტილი დაუსვა, ჰარადამ კი პირველობა ცრემლების ღვრითა და ზლუქუნით აღნიშნა, თანაც განუწყვეტლივ იმეორებდა, მე ეს შევძელი!

შეჯიბრების საყურებლად თავმოყრილი 50 ათასი კაცი, რომელთა შორის იმპერატორის ქალიშვილი, ნორინომიაც ერია, დიდი ღრიალითა და ზურნების ჭყვიტინით შეხვდა თავისიანთა ტრიუმფს. იაპონიამ მერვე მედალი მოიპოვა და ამით ზამთრის თამაშების საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა.

# ნაგანოდან ისტორიაში



ბიორნ დელი

## ბარის თხილამურობა

ფინიშის ხაზი პირველმა ტომას ალსგარდმა გადაკვეთა და ნორვეგიელთა გუნდმაც 40 კმ-იანი რბოლა მოიგო. სკანდინაველთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ბიორნ დელი კი ისტორიული კაცი გახდა — ზამთრის ოლიმპიადებზე მეშვიდე ოქროს მედალი მოიგო. ამდენგზის ჩემპიონი აქამდე არავინ ყოფილა. 1992 წელს ალბერვილში დელიმ 15 და 50 კმ-იან რბოლაში იმარჯვა, ასევე გუნდური რბოლაც მოიგო, ორ წელიწადში სამშობლოში — 10 და 15 კმ-ზე იმარჯვა, რამდენიმე დღის წინ კი 10 კმ-იან რბოლაში მოპოვებული ოქროს გუნდური ჩემპიონობაც დაერთო.

აქამდე ექვს-ექვსი მედალი დელის გარდა მოთხილამურე ქალებს — ლიდია სკობლიკოვას და ლუბოვ ეგოროვას მოეგოთ — ერთს საბჭოთა კავშირის სახელით, მეორეს მისი დაშლის შემდეგ.

და კიდევ: დელისთვის ეს ოქრო თეთრ ოლიმპიადაზე მოგებული მე-11 მედალი გახდა, რაც ახალი რეკორდია. ნორვეგიელ მოთხილამურემდე ყველაზე ბევრი მედალი ასევე საბჭოთა მოთხილამურე ქალს რაისა სმეტანინას მოეგო.

## ჰოკეი

### მეოთხედფინალები

18 თებერვალი

**ჩეხეთი 4:1 აშშ**

**(0:1, 3:0, 1:0)**

**შაიბები: მოდანო 2 (ამონტე, ტკაჩუკი 17) (0:1), რუჟიჩკა 3 (იაგრი, სტრაკა 29) (1:1), იაგრი 1 (დოპიტა 29) (2:1), რუჩინსკი 3 (ლანგი, შმეილიკი 37) (3:1), დოპიტა 1 (59) (4:1).**

პიტსბურგისა და ჩეხეთის ნაკრების სუპერფორვარდმა იარომირ იაგრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნებისმიერ თამაშში დიდი ოსტატობისა და საოცარი გამძლეობის ჩვენება ძალუძს. იაგრს არაერთხელ უასპარეზია ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში დიდ ტურნირებზე, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე თავდამსხმელი ნაკრების ყოფილ მწვრთნელებთან საერთო ენას ვერ პოულობდა და ამიტომ მთელი ძალითაც არ თამაშობდა, ის კი არა, თავისი გულგრილობით პარტნიორებზეც ახდენდა გავლენას. არავინ იცის, როგორ მოათვინიერა გუნდის ახლანდელმა თავკაცმა, წარსულში სახელოვანმა ჰოკეისტმა ივან ჰლინკამ ჭირვეული ვარსკვლავი, მაგრამ ფაქტია — იაგრზე მონდომებული ფორვარდი ჩეხეთის ნაკრებში დღესდღეობით არავინაა.

სწორედ მისმა ჩინებულმა თამაშმა შეიტანა გარდატეხა მატჩში, რომელიც ჩეხებისთვის არცთუ სახარბიელოდ დაიწყო. ერთი წუთის განმავლობაში იაგრის უშუალო მონაწილეობით გატანილი ორი გოლის წყალობით ევროპელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მეტოქე აღარ გააჭაჭანეს. აღსანიშნავია, რომ იაგრმა ორივე შაიბა, ფაქტობრივად, არაფრისგან შექმნა. ჯერ იყო და, სრულიად უხიფათო სიტუაციაში კართან ზურგით მდგომმა ისეთი პასი გააჭრა, ამერიკელთა მთელი ხუთეული უსაქმოდ დატოვა, მერე კი ორი მეტოქე მოატყუა და უზუსტესად დაარტყა. მართალია, ამერიკელები კვლავაც უტევდნენ, მაგრამ მეტად არაგონივრულად და მას შემდეგ, რაც მეორე პერიოდის მიწურულს რუჩინსკიმ მოულოდნელი დარტყმით აშშ-ის ნაკრების მეკარე რიხტერი დააბნია, მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყდა. ევროპელთა ძლევა იმიტომაც გაძნელდა, რომ მათ კარს თვით დომინიკ ჰაშეკი იცავდა. რა არ სცადეს ოკეანისგაღმელებმა, შორეული დარტყმებითაც ემუქრებოდნენ სახელგანთქმულ მეკარეს და უშუალოდ კართანაც, მაგრამ იგი შეუდარებელი იყო. ბრეტ ჰალის უძლიერესი დარტყმული ხომ მოიგერია, ამგვარი სასწაულები კიდევ არაერთხელ იხილა მაყურებელმა. ბოლო წუთებზე ამერიკელებმა ჯერ მეკარე გამოცვალეს, მერე მის ნაცვლად მეექვსე მოთამაშეც გამოიყვანეს, მაგრამ ჩეხები ახლოს იყვნენ მიზანთან და ლიჩს მორიგი შეცდომა გოლადაც დაუსვეს (რეინჯერსის მცველმა აშშ-ის ნაკრების ქომაგებს ყველაზე მეტად გაუცრუა იმედი). მოკლედ, მსოფლიოს თასის მფლობელებმა უკვე დაასრულეს ტურნირი, ხოლო ის, რომ ნახევრად „ევროპელებით“ დაკომპლექტებულმა ჩეხეთის გუნდმა გაიმარჯვა, სენსაციად სულაც არ უნდა ჩაითვალოს.

ცხადია, მატჩის შემდეგ ჰოკეისტებს სხვადასხვა განწყობა ჰქონდათ. ამერიკელებს არ დაუმალავთ, რომ ეს წაგება მათივე ბრალი იყო. გუნდის კაპიტანმა კრის ჩელიოსმა აკი თქვა კიდეც: „ძალზე თავდაჯერებულნი ვიყავით და გვარიანადაც დავისაჯეთ.“ მას აშშ-ის ნაკრების ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი ჯონ ლეკლერიც დაეთანხმა — ეს მძიმე, დამამცირებელი მარცხია და იგი ნამდვილად დავიმსახურეთო.

ჩეხები კი ზეიმობენ. ფორვარდმა მარტინ რუჩინსკიმ განაცხადა: „თუ ასეთ განწყობას შევინარჩუნებთ, კანადასაც მოვუგებთ. ჩეხეთში ჩვენი თამაში საოცარ ინტერესს იწვევს. ასპარეზობის დროს სკოლებშიც კი წყდება მეცადინეობა, ჰოკეის თეატრებშიც უცქერენ.“ გუნდის კაპიტანმა, გამოცდილმა ვლადიმერ რუჟიჩკამ კი უპირველეს ყოვლისა ჰაშეკის ჩინებული თამაში აღნიშნა — როცა იგი გვერდით გვყავს, ჩვენი რწმენა ურყევიაო.

**რუსეთი 4:1 ბელარუსი**

**(1:0, 1:0, 2:1)**

**შაიბები: კამენსკი 1 (იაშინი 19) (1:0), კოვალენკო 3 (ფიოდოროვი, იაშინი 22) (2:0), პ. ბურე 4 (43) (3:0), მოროზოვი 2 (ზელეპუკინი, კასპარაიტისი 44) (4:0), ერკოვიჩი 2 (ხმილი, რომანი 45) (4:1).**

რუსებმა ამაოდ როდი იბრძოლეს თავდაუზოგავად ჯგუფური ტურნირის შესარჩევ მატჩში — ჩეხებთან გამარჯვება ხომ პირდაპირი გზა იყო ოლიმპიური მედლებისკენ. ამის შემდეგ ბელარუსების ძლევა იოლი საქმე იყო, ფავორიტებმა ძალაც დაზოგეს და ნახევარფინალში გასვლის პრობლემაც მოაგვარეს.

ბელარუსებმა მხოლოდ პირველ მესამედში გაუწიეს წინააღმდეგობა თავიანთ ყოფილ მოძმეებს, მაგრამ მე-19 წუთზე უხეში შეცდომა დაუშვეს და კოლორადოელმა ვალერი კამენსკიმ ანგარიში გახსნა. მეორე პერიოდის დასაწყისში კი ბელარუსთა მცველებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს კოვალენკო — 2:0. ამის შემდეგ მატჩმა ყოველგვარი ინტრიგა დაკარგა და რუსებს თავიანთი ოსტატობის ჩვენების გარდა აღარაფერი დარჩენოდათ, რაშიც მათ მეტოქე შეძლებისდაგვარად უშლიდა ხელს. ისევე, როგორც ჩეხეთთან მატჩში, ფავორიტთათვის იღბლიანი მესამე პერიოდის პირველი წუთები გამოდგა: სულ რაღაც 40 წამის განმავლობაში პაველ ბურეს ლამაზმა სოლო რეიდმა და ალექსეი მოროზოვის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, მოწინააღმდეგემ კი ამას მხოლოდ ერთით უპასუხა. ასე იყო თუ ისე, ბელარუსებს თავი არ შეურცხვენიათ და ეს მარტო ამ შეხვედრაზე როდი ითქმის. მათ ყველა გრანდთან ღირსეულად იბრძოლეს და ლამაზი, კომბინაციური თამაშით არაერთი ქომაგი შეიძინეს. რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, იგი თავის წარმატებებს უფრო ლიდერების დიდ ოსტატობას უნდა უმადლოდეს (გავიხსენოთ ჩეხებთან გატანილი ორი გოლი), გუნდური შეთამაშება კი არცთუ მაღალ დონეზეა. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყოს, რომ რუსებს მომზადებისთვის დრო არ ეყოთ (თუმცა, ისევე, როგორც სხვა „დრიმ თიმებს“), არადა, ისინი სწორედ ურთიერთგაგებით გამოირჩეოდნენ ყოველთვის. ვნახოთ, ყველაზე დაძაბული და საინტერესო მატჩები ჯერ კიდევ წინაა.

**ფინეთი 2:1 შვედეთი**

**(0:0, 0:0, 2:0)**

**შაიბები: სელიანე 2 (ლუმე 45) (1:0), სელიანე 3 (კოივუ, ლეჰტინენი 53) (2:0), ფორსბერგი 1 (60) (2:1)**

ეს მეოთხედფინალური შეხვედრა ყველაზე დაძაბული და უშეღავათო გამოდგა. ამ სკანდინავიური გუნდების ყოველი პაექრობა მეტად პრინციპულია და ნებისმიერი რანგის ტურნირზე მეზობლების უპირველეს მიზანს სწორედ ერთმანეთთან ანგარიშსწორება წარმოადგენს. ახლაც ასე იყო, მით უმეტეს, წაგებას ერთ-ერთი ნაკრები ტურნირიდან უნდა გამოეთიშა და მეტოქეებმაც დაცვაზე გადაიტანეს მთელი ყურადღება. ორი პერიოდის განმავლობაში მეტად დაძაბული თამაში გაჩაღდა და ამან ჰოკეისტებს ქანცი გააცალა, სახიფათო მომენტი კი სულ რამდენიმე შეიქმნა. ცხადია, ასეთ ვითარებაში ერთ შაიბას შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა და, ფაქტობრივად, ასეც მოხდა. შვედების მწვრთნელი კენი ფორსბერგი ამაოდ როდი შიშობდა, რომ მისი მოთამაშენი „მფრინავ ფინელს“ ტეემუ სელიანესა და მის პარტნიორებს ვერ შეაჩერებდნენ. ნჰლ-ის საუკეთესო ბომბარდირმა, რომელიც თავისი კარიერის მანძილზე არასდროს ყოფილა ასეთ საუცხოო ფორმაში, ორი ჩინებული გოლი გაიტანა და შვედები გააოგნა. 45-ე წუთზე სნაიპერი კარისკენ დაიძრა და მაშინ, როცა ყველას ეგონა, პასს აპირებსო, მოულოდნელად სალოს კარის შორეულ კუთხეში დაარტყა. მერე სელიანემ რიცხვმრავლობაში მეორეც მიაყოლა და მეტოქეს იმედი თითქმის გადაუწურა. შვედებმა მხოლოდ ბოლო წამებზე გაიტანეს პრესტიჟის გოლი, როცა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ასე რომ, ოლიმპიური ჩემპიონები თავიანთ ტიტულს უკვე მეოთხედფინალში დაემშვიდობნენ.

მატჩის შემდეგ შვედების მწვრთნელმა თავისი გუნდის მარცხი ულფ სამუელსონთან დაკავშირებული ინციდენტით გაამართლა, ყინულზე გასასვლელად მზად არ ვიყავით, ჯერ კიდევ გუშინდელზე ვფიქრობდითო. ფინელთა ვეტერანმა ესა ტიკანენმა კი თქვა, რომ ეს ნაკრების ისტორიაში მესამე უდიდესი მიღწევაა: „პირველად 1988 წლის ოლიმპიადა მოვიგეთ, 1995-ში მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით, ახლა კი მესამე წარმატებას მოვაღწიეთ.“

**კანადა 4:1 ყაზახეთი**

**(2:1, 2:0, 0:0)**

**შაიბები: ნუინდაიკი 2 (ფლერი, რუა 2) (1:0), კორსონი 1 (ბრინდამორი 3) (2:0), შაფრანოვი 3 (ა. კორეშკოვი 4) (2:1), შენაჰანი 1 (გრეცკი, ბურკი 37) (3:1), აიზერმანი 1 (გრეცკი 38) (4:1)**

მატჩის შემდეგ კანადელთა მწვრთნელი მარკ კროუფორდი კმაყოფილებას ვერ მალავდა. მას შედეგზე მეტად თავისი გუნდის თამაში ახარებდა: „თანდათან საუკეთესო ფორმაში შევდივართ და ეს სულ უფრო გვავსებს საკუთარი თავის რწმენით.“ მართლაც, კანადელებმა ძალზე დამაჯერებლად იასპარეზეს და მიუხედავად იმისა, რომ მეორე პერიოდის ბოლომდე ანგარიში მინიმალური იყო, მათ საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. თამაში კი კანადელთა უმძლავრესი შტურმით დაიწყო და მე-3 წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო. ისე, ყაზახთა მეკარის ერემეევის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მან რამდენიმე სახიფათო დარტყმა მოიგერია. შესაძლოა, ასეთმა იღბლიანმა დასაწყისმა დაამშვიდა ფავორიტები, რადგან მალე აზიელთა საუკეთესო თავდამსხმელებმა, შაფრანოვმა და ა. კორეშკოვმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და შეამცირეს ანგარიშში სხვაობა. ნახევარმა საათმა ორივე გუნდისთვის უხეიროდ განვლო, თუმცა კანადელებმა ისე მარჯვედ ითამაშეს დაცვაში, მეტოქე კართან ახლოსაც არ მიუშვიათ.



შვედური დრამა: მატს სუნდინი (მარცხნივ) და კალე იოჰანსონი

მეორე პერიოდის მიწურულს ისევ და ისევ დიდმა გრეცკიმ შეგვახსენა თავი. 37 წლის უეინი ამ ტურნირზე მარტო ჩვეული ოსტატური პასებითა და მოედნის შესანიშნავი ხედვით როდი გამოირჩევა, იგი საოცარ ბრძოლისუნარიანობასაც ავლენს და ერთი-ორჯერ ძალისმიერადაც ითამაშა. 32 წამის განმავლობაში გრეცკი ორი გოლის თანაავტორი გახდა, თანაც მეორედ მცველს ბრძოლაში შაიბა აართვა და აიზერმანს მიაწოდა. აღსანიშნავია დეტროიტელი შენაჰანის კარგი თამაშიც. წინა მატჩებისგან განსხვავებით, იგი მეტად აქტიურობდა, რამდენიმე შასაძლებლიდან ერთი გამოიყენა [illegible] თნელის ქებაც დაიმსახურა.

სპეციალისტები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ კანადელები ძალზე შეკრული და შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ და ჯერჯერობით ყველაზე აზრიანად თამაშობენ. ასე რომ, კანადის ნაკრები, რომელსაც 1952 წლიდან ოლიმპიური ოქრო არ მოუპოვებია, ტურნირის დიდი ოთხეულის მთავარი ფავორიტია.

ნახევარფინალები 20 თებერვალს გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან: *რუსეთი — ფინეთი, ჩეხეთი — კანადა.*

ბომბარდირები: ა. კორეშკოვი (ყაზახეთი) 9 (3+6), სელიანე (ფინეთი) 8 (3+5), ბოზონი (საფრანგეთი) 7 (5+2), შაფრანოვი (ყაზახეთი) 6 (3+3), ლავუა (ავსტრია) 6 (5+1), კოივუ 6 (1+5), ლეჰტინენი (ორივე — ფინეთი) და იაშინი (რუსეთი) 5 (3+2), ნუინდაიკი (კანადა) 5 (2+3), ფორსბერგი (შვედეთი), იაგრი (ჩეხეთი) და ფიოდოროვი (რუსეთი) 5 (1+4).

**სამველ ლარიბიანი**

# ფუმიკო ბებიას გზა არ აშინებს.

ნაგანოში ნჰლ-ელები მარტონი როდი ჩამოვიდნენ. მათ 400 პირი, უმეტესად, რა თქმა უნდა, უახლოესი ნათესავები ახლავთ. ყველაზე აქტიურები კანადელები (80 კაცი) და ამერიკელები (68) არიან. რაც შეეხება ევროპელებს, მათი ნჰლ-ელებისა და მიწვეული სტუმრების რაოდენობა თითქმის თანაბარია, ესე იგი, თითოეულ მოთამაშეზე ერთი თანმხლები მოდის. რეკორდსმენები კი ამ სიაში კანადის ნაკრების მეკარეები — პატრიკ რუა (8 კაცი), მარტინ ბროდო (7) და აშშ-ის გუნდის გოლკიპერი მაიკ რიხტერი (8) გახდნენ. საინტერესოა, რომ სტუმართა შორისაა 83 წლის ფუმიკო კარია — ანაჰაიმელ პოლ კარიას ბებია, მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილიშვილი ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა ნაგანოში. საპატიო სტუმართა შორის კიდევ ერთი ნჰლ-ელია. სან ხოსეს ფორვარდმა ტონი გრენატომ თავისი დის საქომაგოდ ამომავალი მზის ქვეყანაში მოგზაურობა არ დაიზარა.

## ქალთა ტურნირი

**თუ მამაკაცთა ტურნირზე გადამწყვეტი მატჩები ჯერ კიდევ წინაა, ქალებმა უკვე დაასრულეს დავა და ამ სახეობაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონიც გამოვლინდა.**

**აშშ — კანადა 3:1**

**(0:0, 1:0, 2:1)**

**შაიბები. აშშ: იულიონი (23), ლუნი (52), უაიტი (60); კანადა: გოიეტი (56)**

მატჩის შემდეგ ამერიკელი ჰოკეისტები უსაზღვროდ ბედნიერნი იყვნენ. რა გასაკვირია — ეს გამარჯვება ხომ ისტორიულია მათთვის, რადგან მანამდე ყველა დიდ შეჯიბრებაზე მსოფლიოს ამ ორი უძლიერესი გუნდის პაექრობაში კანადელები იმარჯვებდნენ (ისინი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები არიან). როცა ჯგუფური ტურნირის შეხვედრაში აშშ-ის ნაკრებმა სძლია თავის კონკურენტს, ბევრმა ეს კანადელთა ტაქტიკურ სვლად მიიჩნია, ვითომდა მათ ფინალამდე დამალეს თავიანთი სიძლიერე. საქმე კი სულ სხვაგვარად ყოფილა: კანადელებმა ვერაფრით აჯობეს მოწინააღმდეგეს, ის კი არა, მეტად თანაბარ თამაშში ამერიკელთა შეტევები უფრო მწვავედ გამოიყურებოდა. საბოლოოდ, 23-ე წუთზე ლამაზი კომბინაციის შემდეგ იულიონმა რიცხვმრავლობაში დააწინაურა თავისიანები. ამ შაიბამ ფსიქოლოგიურად გატეხა მსოფლიოს ჩემპიონები, მათ თამაშს გააზრებული აღარ ეთქმოდა, თანაც ჩინებულად ირჯებოდა ამერიკელთა მეკარე ტვეტინგი — მან თვით მანონ რომი (მეკარე ქალი, რომელმაც თავის დროზე ტამპას შემადგენლობაში ერთი მატჩი ჩაატარა) დაჯაბნა. მატჩის მიწურულს ყველაფერი ნათელი გახდა: 51-ე წუთზე ამერიკელებმა ისევ რიცხვმრავლობაში სწრაფი სამსვლიანი გაითამაშეს და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ლუნიმ გააორმაგა თავისიანთა უპირატესობა. ეს კი ასეთ დაძაბულ და ცოტაგოლიან თამაშში ძალზე სოლიდური სხვაობა გახლავთ. ეტყობა, ამან დაამშვიდა ამერიკელები და მეტოქის წამყვანმა დუეტმა — ვიკენჰაიზერ-გოიეტმა უმალ შეამცირა სხვაობა (ეს გოიეტის, ქალთა ტურნირის საუკეთესო სნაიპერის მე-8 გოლია). ამას მეკარის ტრადიციული გამოცვლა მოჰყვა, მაგრამ უაიტმა (1+2) ჩაჭრა კანადელთა გადაცემა და თავისიანთა გამარჯვება უეჭველი გახადა.

# ოლიმპიური მეა ამერიკელია

მატჩი მე-3 ადგილისთვის

**ფინეთი — ჩინეთი 4:1**

**(0:1, 3:0, 1:0)**

**შაიბები. ფინეთი: ფისკი (24), იკონენი (28), ლანკოსაარი (31), ნიემინენი (60); ჩინეთი: იანგი (10)**

ფინალისგან განსხვავებით, ამ შეხვედრის შედეგი მოულოდნელი სულაც არ გახლდათ. გამარჯვება უფრო მაღალი კლასის ფინელებმა იზეიმეს, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ჩინელები დაწინაურდნენ. სკანდინაველებმა მეორე პერიოდში მოითავეს საქმე და ოთხივე მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამეებმა ოლიმპიადაზეც ბრინჯაო ირგუნეს.

ბომბარდირები: რიიკა ნიემინენი (ფინეთი) 12 (7+5), დანიელ გოიეტი (კანადა 9 (8+1), ტერეზა ბრისონი 7 (5+2), ლორი ბეიკერი (ორივე — აშშ) 7 (4+3)

# ახალი რწყილი და ჭიანჭველა

დატოვებს გიორგი ქინქლაძე „სიტის"? აი, ყველაზე გაცვეთილი, მაგრამ მაინც პოპულარული კითხვა ქართულ ფეხბურთში. რა მოსდევს ამ კითხვას? ალბათ, მაინც, სად ითამაშებს მიხეილ აშვეთია. ჯერჯერობით პასუხი მხოლოდ აშვეთიათი დაინტერესებულთ გაეცათ — მიხოს მორიგი გაჩერება „დინამოა". საკითხავი ახლა ის გახდა, ვის ეკუთვნის აშვეთია?

ნებისმიერი პატიოსანი მკითხველი ერთს გაიფიქრებს — საკუთარ თავსო. ნამდვილად ასეა თუ არა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. რაც მან კლუბიდან კლუბში გასასინჯად იმოგზაურა, იმდენი, მგონი, მხოლოდ მარკო პოლოს უვლია. ეს კი, ცხადია, მხოლოდ აშვეთიას სურვილს — უცხოეთში ეთამაშა ფეხბურთი — არ გამოუწვევია. „ტორპედოს" ძველი და ახალი მესვეურები ცდილობდნენ, რაც შეიძლება, ფასიანად გაეყიდათ ფეხბურთელი და ვიდრე ბესიკ ჯიქიამ ექვსი თვით „ალანიას" არ მიათხოვა, ბოლო არ უჩანდა ამათ დარისპან-კაროჟნობას.

გაუგებრობა ამ ბიჭის ტრანსფერს თავიდანვე დაებედა. სხვადასხვა დროს ვინ აღარ იბრალებდა მის პატრონობას — პირველი მწვრთნელი კუჭი სვანაძე, ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის კლუბი „რწმენა", წყალტუბოს „სამგურალი", თბილისის „დინამო" და, რა თქმა უნდა, ქუთაისის „ტორპედო", რომლის შემადგენლობაში მიხომ ორი ყველაზე ნაყოფიერი (31 და 25 გოლი) სეზონი დაჰყო. საქმის არსში უკეთ გასარკვევად ურიგო არ იქნება თითოეულის პრეტენზიის გახსენება.

რა სურდა მწვრთნელს? ბევრიც არაფერი. უბრალოდ, ამ კაცმა აშვეთია ფეხბურთში ძალისძალად მოიყვანა, ტალანტი დაკარგვას გადაარჩინა და თვლის, რომ საამისო კომპენსაცია ერგება.

რა სურდა „რწმენას"? კლუბის მესვეურთა აზრით, სამართლიანი უფლებების დაკანონება აშვეთიასა და ჩხეტიანზე.

რა სურდა „სამგურალს"? ამ მოთამაშეთა სატრანსფერო თანხა „ტორპედოსგან".

რა სურდა „დინამოს"? რევაზ ბურკაძის დანაპირების ასრულება.

რა სურდა „ტორპედოს"? მოდავეთა მოცილება და აშვეთიას სარფიანად გაყიდვა.

ახლა ისიც ვთქვათ, რა გამოვიდა საბოლოოდ ამ საქმიდან.

მწვრთნელს — არაფერი.

„რწმენას" — გაუნაღდებელი თამასუქი „სამგურალისგან".

„სამგურალს" — მშველელი სამი ქულა „ტორპედოსგან".

„დინამოს" — თავდაპირველი უარი და გვარიანი თანხის სანაცვლო თანხმობა.

„ტორპედოს" — სარგებელი „ალანიისგან" და „დინამოსგან".

მა, აშვეთიას რაღა? აშვეთიას, ჯიქიას თქმით, უცხოურზე სამჯერ უკეთესი პირობები. მივიღეთ საკმაოდ ბანალური, მსუბუქი სურათი მძიმე ჩარჩოში. ორი კმაყოფილი და ოთხიც უკმაყოფილო. მაგრამ „სამგურალი" და „დინამო" უსარგებლოდ მაინც არ დარჩენილან.

რითაა მწვრთნელი უკმაყოფილო? იმით, რომ ძაღლუმადური შრომა არ დაუფასდა.

რითაა „რწმენა" უკმაყოფილო? იმით, რომ სამგურალისგან დაპირებული საავარაკო ადგილები ვერ დაიკანონა.

რითაა „სამგურალი" უკმაყოფილო? იმით, რომ „ტორპედომ" აშვეთია-ჩხეტიანი ხელში უფულოდ ჩაიგდო და მეზობლები ორ წელიწადს ამიტომაც გაიბუტნენ.

რითაა „დინამო" უკმაყოფილო? იმით, რომ აშვეთიაში ფულის გადახდა მოუხდა.

და... რითაა „ტორპედო" კმაყოფილი? უფულოდ შეძენილი (?!) აშვეთიათი კარგად რომ ისარგებლა.

რითაა „დინამო" კმაყოფილი? ბოლოს და ბოლოს, აშვეთია რომ შეიძინა.

რითაა „სამგურალი" კმაყოფილი? „ტორპედოს" რომ შეურიგდა და შარშან მის ახალგაზრდულ შემადგენლობასთან მოგებით გავარდნას გადაურჩა.

მაგრამ რა ეშველება უკმაყოფილოთ? საშველი ცოტა პროზაული კია, მაგრამ ერთია. ნეტარხსენებული აკაკისა არ იყოს, „დინამომ" უნდა მისცეს „ტორპედოს" სატრანსფერო თანხა, ამან უნდა გადაუხადოს თავის წილი „სამგურალს", ამან უნდა დაუმტკიცოს „რწმენას" შეპირებული მიწა, ამან კი უნდა ასარგებლოს მწვრთნელი, ახალი აშვეთია რომ აღზარდოს...

**ვახტანგ გზირაძე**

P.S. ამ ნარკვევის დაწერა ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის რექტორისა და „რწმენას" პრეზიდენტ ომარ ცხადაძის წერილმა განაპირობა, რომლის ასლი ჩვენც მივიღეთ. ომარ ცხადაძე ფეხბურთის ფედერაციას მიმართავს, აშვეთიას საფასური ან თქვენ, ან „დინამომ" გადაგვიხადოსო. რამდენად სწორია მისამართი და პრეტენზია, ამის გარკვევა ფედერაციისთვის მიგვინდვია.

## დინამოს ომი და მშვიდობა ბელგიაში

ბელგიაში, ამგზავრებულ „დინამოს" რუმინეთის ჩემპიონი „სტიაუა" ელოდა, რომელსაც მზადება ჩაემთავრებინა და მხოლოდ ჩვენებთან გასაჯიბრებლად დაყოვნებულიყო. „დინამო" რუმინეთის ჩემპიონს მეორე დღესვე წარუდგა. თავიდან „სტიაუა" იგებდა, მაგრამ ხომერიკს ანგარიში გაუყაიმებია. ბოლოსკენ კი მეტოქეს უმძლავრია და ორი გოლიც გაუტანია — 3:1.

ჩვენი ჩემპიონის მორიგი მეტოქე არჩილ არველაძის „ბრედა" გახლდათ. თამაში 2:2 დამთავრდა და ოთხივე გოლი ქართველთა ანგარიშზე მოდის. არჩილს „ბრედა" თერთმეტმეტრიანი დარტყმით დაუწინაურებია, რასაც საპასუხოდ ხომერიკის ორი გოლი მოჰყოლია, ბოლოს ისევ აჩიკოს დაუმწუხრებია „დინამო".

თბილისელები მესამე საკონტროლო შეხვედრას 24 თებერვალს ბელგიურ „ვესტერლოსთან" გამართავენ.

## შეყილაძე ევროპას მიუახლოვდა

ვიდრე საქართველოს ნაკრები ბენილუქსში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებდეს „ბათუმისა" და ნაკრების მცველი გელა შეყილაძე ამ ქვეყნებში გაშინაურებას ლამობს. მან შესაძლოა, დატოვოს მშობლიური კლუბი და თამაში ბელგიის ან ჰოლანდიის ერთ-ერთ გუნდში გააგრძელოს. ყოველ შემთხვევაში, დღეს რეალურად არსებობს საამისო წინაპირობა. მალტის ტურნირის შემდეგ შეყილაძეს თურქეთის ნაცვლად ევროპისკენ აუღია გეზი, საიდანაც მენეჯერებს შემოუთვლიათ, ჩამოდი, კარგ კლუბს გაგიხერხებთო. წუხელ ისიც შევიტყვეთ, რომ მენეჯერებს უთხოვიათ დინამოელთათვის, იქნებ შეყილაძე „ბრედასთან" მატჩში თქვენს გუნდში ათამაშოთ, საქმეში რომ ვიხილოთო, მაგრამ თბილისელთა თანხმობა ვერ მიუღიათ.

## ნაცნობი რეისი თბილისი — ერევანი!

ამ ბოლო დროს მეზობელი სომხები შანსს არ უშვებენ და თუ ვარიანტი გამოჩნდა, მაშინვე ამხანაგურად გაჯიბრებას გვთავაზობენ. უკვე ტრადიციად ჩამოუყალიბდათ — ქართველების წინააღმდეგ გაორკეცებული ჟინით იბრძვიან, ოღონდ ეგ არის, რაც დამოუკიდებლები გვქვია, მას შემდეგ ჩვენგან ხეირი არ უნახავთ. შარშან სულაც მათმა ეროვნულმა გუნდმა ჯერაც არნახული მარცხი იწვნია. გაუგონარი ქართველებისგან, თორემ 7:0 სხვასთანაც წაუგიათ. გახარებულები არც ვახტანგ კოპალეიშვილის 18-წლამდელებს გაუშვიათ, ჩვენში გამართული ორივე შეხვედრა მოუგეს. ჩვენებს თავი არც ერევანში შეურცხვენიათ. სომხები მაინც არ გვეშვებიან. ამასწინათ ფეხბურთის ფედერაციაში წერილი მოვიდა, სადაც მეზობლები გვატყობინებენ, რომ 20-25 მარტს თბილისში სურთ ჩამოსვლა, ხოლო 1-5 აპრილს ჩვენს დელეგაციას თავისთან ელიან. თბილისში და ერევანში 18-წლამდელთა ორ-ორჯერ გაჯიბრებას ფიქრობენ. უნდა ითქვას, რომ ჩვენი 18-წლამდელთა ნაკრები ერთადერთია, რომელსაც ჯერ შეკრება არ მოუწყვია. ამხანაგურად პირველი ჯგუფის გუნდებს გაეჯიბრნენ და სულ ეგ იყო. ვახტანგ კოპალეიშვილს შეკრების ბორჯომში მოწყობა კი სურდა, მაგრამ მთავარ მწვრთნელს მამა გარდაეცვალა, დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა და ყველაფერი დროებით გადაიდო. ფეხბურთის ფედერაციაც მწვრთნელის ჩამოსვლას ელოდება, რომლის დედაქალაში დაბრუნება ლიხსიქეთში მობობოქრე ადარმა დააბრკოლა. როგორც კი კოპალეიშვილი დაბრუნდება, სომხებსაც საბოლოო პასუხს ვაცნობებთო, გვითხრეს ფედერაციაში.

# ოდიშს სიონისა, დილას ოდიშისა

ხვალ 20 თებერვალია... მკითხველს გაეცინება, ეს ხომ ჩვენც ვიცითო. სამაგიეროდ, ბევრმა არ იცის, რომ ამ დღეს წრეებს შორის სატრანსფერო სეზონი იხურება. ესე იგი ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ხვალის შემდეგ მაისის ბოლომდე ფეხბურთელს ვერ დაიმატებენ. ხვალ ბოლო დღეა.

მიტომაც იყო, რომ გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში, სატრანსფერო კომისიის მორიგ სხდომაზე მეტად ხალხმრავალი აუდიტორია შეიკრიბა, ძირითადად კლუბების თავკაცები და ფეხბურთელები. აბა, ამქვეყნად მომჩივან-მოსარჩელეს რა დალევს — ყველა თავისას ამტკიცებს. ამიტომ სატრანსფერო კომისიის სხდომა 3 საათს გაიწელა. არადა, სულ რაღაც ხუთი ფეხბურთელის ბედილა იყო გასარკვევი.

ახლა ის ვიკითხოთ, ვინ ვის და რაზე ედავებოდა. დავობდნენ მეზობლები — სამტრედიელები ქუთაისელებთან. დავის ობიექტი ფეხბურთელი შალვა მუმლაძე გახლდათ. როგორც ირკვევა, „ტორპედოს" მუმლაძეზე დაახლოებით 585 ლარი დაუხარჯავს და კლუბის მესვეურები სამტრედიელებს ტრანსფერში 12-ჯერ 525 ლარს სთხოვდნენ. საქმე გაარჩიეს და მუმლაძე სამტრედიას 6 000 ლარად ერგო, ოღონდ ამის შემდეგ ფეხბურთელი მთლიანად „იბერიას" ეკუთვნის და მუმლაძის მომავალზეც ის იზრუნებს.

„იბერიამ" თსუელი შოთა ჩომახიძეც დაიბრუნა, ოღონდ თბილისური კლუბი ვერაფერსაც ვერ მიიღებს, იმიტომ, რომ სამტრედიიდანაც უკაპიკოდ წამოუყვანია.

დანარჩენ საქმეებში ზუგდიდური „ოდიში" ბოლნისის „სიონი" და გორის „დილა" გადიოდნენ. „ოდიშმა" ბოლნისელი ისიანი კი გადაიბირა, მაგრამ ამით „სიონს" რა ხეირი, ფეხბურთელის დაკარგვის გარდა. როგორც საქმის მსვლელობამ ცხადყო, „სიონი" ვერაფერს მიიღებს, რადგან გუნდიდან განთავისუფლების ფურცელი ისიანისთვის ადრევე გაუმზადებიათ და საპრეტენზიოც არა გვაქვსო, დაუმატებიათ. ახლა ცოტა გაჰპირვეულდნენ, მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ დიდად ვერაფერი მოიგეს. კომისიამ დაადგინა — თუ „ოდიში" შალვა ისიანს საზღვარგარეთულ კლუბში გაყიდის, მაშინ საკონტრაქტო თანხის 30 პროცენტი „სიონს" ერგება, ხოლო თუ იგი მშობლიურ კლუბში დაბრუნდება, მაშინ „სიონი" იქნება ვალდებული, „ოდიშს" 1 000 ლარი ჩაურიცხოსო. დაახლოებით ამდენი უჯდებათ ზუგდიდელებს მეორე წრეში ისიანის შენახვა. ამით „ოდიშ" — „სიონის" საკითხი დამთავრდა.

რაც შეეხება „ოდიშ" — „დილას" კამათს, აქ ცოტა უფრო რთულად გახლდათ საქმე. გორელები — გიორგი რევაზიშვილი და ალეკო კაიდარაშვილი კონტრაქტის გაუქმებას და ზუგდიდიდან განთავისუფლებას ითხოვდნენ. თურმე ამათთვის „ოდიშს" საკონტრაქტო პირობები არ შეუსრულებია. სატრანსფერო კომისიის სხდომაზე ორივე მხარეს მოუსმინეს, თავად რევაზიშვილიც იქ იყო და ასეთი განაჩენი გამოიტანეს — გიორგი რევაზიშვილი თავისუფლდება „ოდიშიდან" და მას თავისუფლად შეუძლია „დილაში" გადასვლა, ხოლო ალეკო კაიდარაშვილის საკითხი ხვალისთვის გადაიდო, რადგან თავად ფეხბურთელი ზუგდიდში იმყოფებოდა და გორში დღეს უნდა დაბრუნებულიყო. თუ სიტუაციას გავითვალისწინებთ, „ოდიშისთვის" კაიდარაშვილი დაკარგულია. ეს იმ შემთხვევაში, თუ „ოდიშის" ხელმძღვანელები ფეხბურთელს როგორმე აზრს არ შეუცვლიან და უმალ შეპირებულს არ აუნაზღაურებენ, რაც მეტად საეჭვოა.

სულ ეს არის, მაგრამ საწყენია, რომ ჩვენი კლუბების უმრავლესობას, სხვას რომ თავი დავანებოთ, გუნდსა და ფეხბურთელს შორის საკონტრაქტო მხარეების ანბანიც ვერ აუთვისებიათ და დღენიადაგ სადავოდ იხდიან საქმეს.

**მამუკა ქვანტალიანი**

## რუსთავში ძველები იკრიბებიან

ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი, რუსთავის „მეტალურგი" გამოსავალს ეძებს. კლუბის ხელმძღვანელთა გეგმა ასეთია — რაც უნდა დაუჯდეთ, გუნდმა უძლიერესთა შორის შეინარჩუნოს ადგილი. მთავარი მწვრთნელიც თანდათან იწვევს სასურველ მოთამაშეებს. გაიოზ დარსაძის მიერ ადრე შემატებულ ფეხბურთელებზე ამას წინათ მოგახსენეთ, ახლა ახლებზე ვთქვათ. „ჟემჩუჟინადან" დაბრუნებულმა დიმა კუდინოვმა ბოლო-ბოლო თავისი არჩევანი „მეტალურგზე" შეაჩერა, არადა, მანამდე კუდინოვის „დინამოში" გადმოსვლა უფრო სავარაუდო გახლდათ.

მეორე ახალწვეულიც რუსეთიდან დაბრუნდა. „კრილია სოვეტოვში" გატარებული არცთუ იღბლიანი სეზონის შემდეგ გელა ინალიშვილიც რუსთავში აღმოჩნდა.

როცა ბოლო ფეხბურთელის ვინაობა შევიტყვეთ, ხუმრობა გვეგონა. მალხაზ არზიანი ხომ კარგა ხნის ვეტერანად ითვლებოდა, თუმცა ჩვენში გასაკვირი არაფერია. არზიანმა ფეხბურთში დაბრუნება შარშან, სეზონის დასაწყისშიც სცადა და მოსამზადებელი პერიოდიც ზღვისპირულ გუნდებთან ერთად გაატარა, მაგრამ ვერსად მოახერხა ფეხის მოკიდება.

ამბობენ, გაიოზ დარსაძეს აწ უკვე ყოფილი ბათუმელის, ჯუბა ჩუხუას გადაბირებაც სურსო, რომელიც „ბათუმს" დაეთხოვა. მისი საკითხი 20 თებერვლისთვის გადაწყდება. ამ დღეს ხომ ჩვენში სატრანსფერო სეზონი იხურება.

## ტორპედო ანთალიას, ქებაძე ბელგიას

ქუთაისურმა „ტორპედომ" სამეორეწრეო სამზადისის თადარიგი ნაადრევად დაიჭირა. გუნდი 5 იანვრიდან ემზადება და ამ ხნის განმავლობაში წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც გაარკვია. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოფილი მორკინალი ირაკლი ვაშაკიძე, გიალო ჩხაიძე და სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოყვანილი არჩილ ჩხაბერიძე მეორე წრიდან „ტორპედოში" ითამაშებენ. გუშინ ესენი კლუბის განაცხადში შეიყვანეს და ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა ბადრი ქარქაშაძემ მათ საბუთებს შესაბამისი ბეჭედიც დაუსვა.

კლუბის მეპატრონემ, ბესიკ ჯიქიამ გვითხრა, ამჟამად „ტორპედოში" 25 ფეხბურთელი ირიცხება, მაგრამ ამათგან მეორე წრის დაწყებამდე მხოლოდ 18 დარჩება. ვინ, თავად ფრუიძე გადაწყვეტსო.

ბესიკ ჯიქიამ ესაც გვაცნობა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გაურკვევლობაში მყოფ ლევან ქებაძეს დაადგა საშველი და ჭაბუკიანელი ყმაწვილი გუშინ ბელგიაში გაფრინდაო. ქებაძეს რამდენიმე ვარიანტი ჰქონია, მაგრამ თუ არც ერთი გამოვიდა, მაშინ ბელგიურ „ანტვერპენში" მისი ექვსთვიანი განათხოვრება სავსებით რეალური იქნება. შეგახსენებთ, რომ „ანტვერპენი" ბელგიური ჩემპიონატის ერთპიროვნული აუტსაიდერი გახლავთ.

დღეს კი ქუთაისის „ტორპედო" ანთალიას გაემგზავრება ათდღიან შეკრებაზე, სამი შეხვედრის ჩასატარებლად.

## სამტრედიას ხელი დაეტყო

თვეც არ იქნება, რაც სამტრედიული „იბერიას" თავკაცობა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა იკისრა და გუნდსაც ხელი დაატყო. ჯიხაიშის ბაზა რომ მოწესრიგდა, ფეხბურთელებს გათბობა, ცხელი წყალი და კომფორტული სავარჯიშო ინვენტარიც ელირსათ, ადრევე გაუწყეთ. ახლა კლუბში მიწვეულ ახალ ფეხბურთელებზე გეტყვით. ნიკა ამირეჯიბმა ქუთაისელი ტყუპები — ვასო და სოსო გიგიაძეები დაიმატა და მათ შალვა მუმლაძეც მიაყოლა. სულ „ტორპედოს" სამი კაცი წაჰგვარა. შოთა ჩომახიძე თსუ-დან მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა. მწვრთნელმა მეორეჯგუფელ ბორჯომის „თორს" მეკარე ლაბაძე და სტოპერი კობესაშვილიც დასტყუა. სხვათა შორის, ამირეჯიბმა თორელებს თვალი ერთი წლის წინ დაადგა. მაშინ უგუნდოდ დარჩენილი მწვრთნელი კომისრობდა და ვისაც არ ურჩია, ეს ბიჭები გამოგადგებათო, ყური არავინ უგდო. ახლა, ალბათ, თავად გამოიყენებს. კლუბის თავკაცის ერთადერთი მიზანი კი გუნდის უძლიერესთა შორის დაბრუნებაა.

— ვიცი, რომ თავიდან გარკვეული თანხის გაღება მოგვიწევს, მაგრამ თუ გვინდა, დაწყებული საქმე წარმატებით დავგვირგვინდეს, ფული არ უნდა დაგვენანოს, არც რიგი და ანგარიში უნდა აგვერიოს. ერთი კაცი ფეხბურთშიაც ცოდოა, ამიტომ ხელმძღვანელები ერთმანეთს შევეშველებით და იმედია, საწადელს მივაღწევთ — აღნიშნა პრეზიდენტმა.

## დილა მატებაშია

გორელთა გუნდში სეზონის წინ მოსული ახალი ხელმძღვანელები იქაურ გულშემატკივრებს დაპირდნენ, გასაჭირში მყოფ „დილას" ფეხზე წამოვაყენებთ და გადახვეწილ ფეხბურთელებსაც მოვაბრუნებთო. კლუბის თავკაცები ნელნელა ასრულებენ დანაპირებს. ქუთაისიდან გიორგი ლომიძე და როინ მარლიშვილი ჩამოიყვანეს, რუსეთს წასული ვაჟა თარხნიშვილი და გიორგი ბალაშვილიც გორში არიან და როგორც კლუბის პრეზიდენტმა ზვიად შერმადინმა გვითხრა, უკვე სარატოველი ზურაბ ხორგუაშვილიც შეიმატეს.

მას შემდეგ, რაც რამაზ სოლოლაშვილმა ბედი „ოდიშს" დაუკავშირა, გორელებს მეკარის პრობლემა აწუხებთ. შუმახერა ჯერჯერობით სამეგრელოდან წამოსვლას სულაც არ აპირებს, გორელები კი მეკარეს ეძებდნენ და უპოვიათ კიდეც. ამჯერად კლუბის ხელმძღვანელთა არჩევანი სამტრედიელ გრიგოლ ჭანტურიაზე შეჩერდა, რომელიც გორში 1991-92 წლებშიც თამაშობდა და კარგი მეკარის სახელიც სწორედ მაშინ დაიგდო.

გორელებს გიორგი რევაზიშვილისა და ალეკო კაიდარაშვილის დაბრუნებაც სწადიათ. სავსებით რეალურია, ქართლელები მეგრულ „ოდიშს" გაეყარონ. მიზეზად კლუბის მხრიდან საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობას ასახელებენ.

# მეხუთე კოლონა მეორე დივიზიონის საზღვართან

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჯო როილს „მანჩესტერ სიტიში" ასპარეზობის წლებში ექვსჯერ ინგლისის ნაკრებში თამაშის პატივი ხვდა წილად. 1976 წელს, „სიტიმ" ლიგის თასი რომ მოიპოვა, მან „უემბლიზე" გამართული ფინალის გარდა ყველა შეხვედრაში შეაგდო გოლი. მწვრთნელად „ოლდემშიც" უმუშავია, მაგრამ ბოლო სამსახური, როგორც გითხარით „ევერტონში" ჰქონდა და იგი 1997 წლის მარტში დაჰკარგა.

როილის „ევერტონიდან" წასვლის მიზეზი ფორმალურად ის გახლდათ, რომ მან სატრანსფერო ვადის ბოლო



ჯო როილი

დღეს, „ლივერპულის" მიერ უკვე შემოწმებულ-დაწუნებული ორი ნორვეგიელი ფეხბურთელის ყიდვა და სეზონის წინ ბირმინგემში გაყიდული ყოფილი კაპიტნის, ბარი ჰორნის დაბრუნება ისურვა. ამ საქმეში 3 მილიონამდე გირვანქა სტერლინგის დახარჯვა „ევერტონის" პრეზიდენტმა პიტერ ჯონსონმა უაზრობად მიიჩნია, რითაც როილი შეურაცხყო და მანაც განცხადება დაუწერა.

ვიმეორებთ, ეს როილის გადადგომის ფორმალური მიზეზი გახლდათ, სინამდვილეში კი ეტყობა საქმე მაინც ცუდ შედეგებს ეხებოდა. იმ პერიოდის ჟურნალები მოგვითხრობენ, რომ „ევერტონთან" მუშაობის პირველ სეზონში, 1995 წელს ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგება იმავდროულად წარმატებათა დაისიც გამოდგა. როილის გადადგომის წინ გუნდი გასავარდნთა ზონის ახლომახლო ტრიალებდა.

ასეა თუ ისე, დღეს ჯო როილი, ბოლო 25 წელიწადში, „მანჩესტერ სიტის" მეჩვიდმეტე მწვრთნელი გახდა.

რაც შეეხებათ „მეინ როუდზე" მომუშავე ასისტენტ მწვრთნელებს ალან ჰილს, რიჩარდ მანის და პიტერ ედუარდს, ისინი ფრენკ კლარკთან ერთად ტოვებენ გუნდს. მოსალოდნელია, რომ ჯო როილი მეორე კაცად უილი დონაჩის მიიყვანს.

— ჩემი თანამდებობიდან მოხსნის ამბავი თავიდან რადიოში მოვისმინე — ყვებოდა შემდეგ კლარკი — წინა საღამოს 5 საათისთვის ფრენსის ლიმ დამირეკა მანქანაში და მითხრა საქმე მაქვსო. მე სანდერლენდის მიმართულებით მივემგზავრებოდი, მინდოდა მათი „რედინგთან" თამაში მენახა, რადგან შემდეგ ტურში „სიტი" სწორედ „რედინგს" უნდა შეხვდეს. ლის ვუთხარი ტრასაზე ლიდსს გავცდი და თუ გინდა მანქანას მოვატრიალებ, დავბრუნდები და დაგელაპარაკები-მეთქი, მაგრამ მან მომიგო, რომ თავად დამიკავშირდებოდა. ვიფიქრე, მნიშვნელოვანი არაფერია, მეთქი და გზა განვაგრძე...

კლარკის გზა ფუჭი გამოდგა, როილის იმედიანი, „სიტის" გზა კაცმა არ იცის საით მიდის, მაგრამ საითაც უნდა იქით წასულა. ჩვენ ქინქლაძის, ცხადაძის და შელიას გზას ვჩივით.

**პაპუნა ძიძია**

# დარჩება თასი აფრიკის სამხრეთში?

**D ჯგუფი**

**მაროკო 1:0 ეგვიპტე**

**მაროკო: ელ ბრაზი, ნაიბეტი, აბრამი, ალ ჰადრიუ, ჩიპა, უაკილი (ფერტუტი 67), ქალეფი (ქრინდუ 80), ალ ტაჰარი, ჩიპო, ჰაჯი, ალ ხატაბი (ბაჰჯა 73)**
**ეგვიპტე: ალ საედი, ელ საკა, ომარა, რამზი, ელ შიხინი, აბდელ აჰდი, რადვუდი, საბრი (რაიანი 56), იმამი (იუსუფი 82), მუსტაფა (ნაბი 59), ჰოსამი**
**1:0 ჰაჯი (90)**



პირველი ტურების შემდეგ ჯგუფის უდავო ფავორიტებად ეგვიპტელები ითვლებოდნენ, ისინი თამაშითაც და საერთოდ მომზადებითაც არა მარტო ჯგუფელებზე, არამედ ტურნირის ყველა მონაწილეზე მაღლა იდგნენ. თითქოს უნდა მოეგოთ კიდეც ჯგუფური ტურნირი, მაგრამ მუსტაფა ჰაჯის ულამაზესმა გოლმა ეგვიპტელთა იმედები წამებში დაამსხვრია.

მეტოქეებს მაინცდამაინც არ მოუკლავთ თავი. უბრალოდ ბურთს აგორებდნენ. ფრე ორივეს ხელს აძლევდა და ამიტომაც არც ძალები ხარჯეს და ზედმეტ ტრავმებსაც მოერიდნენ. ორივე გუნდი ძალზე კორექტულად თამაშობდა. მსაჯს არც ერთი მოთამაშე არ გაუფრთხილებია, ეგვიპტელი აბდელ ჰადი კი გააძევა, მაგრამ არა უხეშობისთვის, უბრალოდ მსაჯს უკმეხად შეელაპარაკა. რაკი არბიტრი ვახსენე, აქვე დავძენ, რომ მატჩს დანიელი კიმ ნილსენი სჯიდა.

შეხვედრა, როგორც ზემოთ ვთქვით, ნელ ტემპში მიმდინარეობდა. ხანდახან სახიფათო მომენტებიც იქმნებოდა, მაგრამ თითქოს უფრო ვალის მოხდის მიზნით, გულშემატკივრებს ინტერესი რომ არ დაჰკარგოდათ.

...ეგვიპტელთა თავგადაპარსული თავდამსხმელი ჰასან ჰოსამი პირველ ორ მატჩში შეგდებული 5 გოლით ბომბარდირთა ლიდერი გახლდათ. მაროკოელთა ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი მისი გუნდისთვის ყველაზე სახიფათოდ სწორედ ჰოსამს მიიჩნევდა, მაგრამ მის თამაშს სამშაბათს ფეხბურთი არ ეთქმოდა. კაცი ვერ იფიქრებდა, რომ ეს პირტიტველა ბიჭი გათამაშების ბომბარდირი იყო. პირველ ტაიმში ერთადერთი სახიფათო შეტევა, რომელსაც ასე თუ ისე საგოლეც ეთქმოდა, ეგვიპტელებმა განახორციელეს — ტარეკ მუსტაფა მაჰმუდ ომარიმ გრძელი გადაცემით მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ისის იყო ფორვარდს სიხარულისგან ხელები ზე უნდა აღემართა, რომ ელ ბრა-



**მაროკო — ეგვიპტე. ეგვიპტელი რამზის (შუაში) ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო**

ზის უბრწყინვალესი ნახტომი იხილა — ბურთი არ გავიდა. ეს იყო და ეს, შესვენებამდე მეტი არაფერი მომხდარა. ისე, არც მეორე ნახევარში გამოუდეიათ ფეხბურთელებს მაინცდამაინც თავი. ანგარიში საყაიმო რომ ყოფილიყო, უფრო სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ ბოლო წამებზე აჰმედ ბაჰჯას მარჯვენიდან ჩაწოდებული მუსტაფა ჰაჯიმ შესანიშნავი უკუდარტყმით, ეგრეთწოდებული „მაკრატელათი“ გააგრძელა და ანგარიშიც გაიხსნა. იქვე შეხვედრაც დასრულდა.

— მეოთხედფინალში კი გავედით, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, აშკარად გაგვიმართლა. ტურნირისთვის აშკარად არ ვართ მზად, მაგრამ თუ მოვიგეთ, ეს დიდი წარმატება იქნება. ცალკეული მოთამაშეების მიხედვით ჩვენზე ძლიერი დღესდღეობით აფრიკის თასზე არავინ მეგულება, მაგრამ გუნდური თამაშით ორ-სამ ნაკრებს ნაღდად ჩამოვრჩებით. მეოთხედფინალში სამხრეთ აფრიკელებს ვხვდებით და საკმაოდ ვშიშობ. მეტოქე ძლიერია, ბოლოს და ბოლოს თასის მფლობელია. ნახევარფინალში გასვლა კარგი იქნებოდა, მაგრამ თუ ობიექტურნი ვიქნებით, ეს ნაკლებ სავარაუდოა — ძალზედ თვითკრიტიკული იყო მაროკოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი მოჰამედ ლამრანი. მისგან განსხვავებით ნაკრების მწვრთნელი ანრი მიშელი, რომელმაც ოთხი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე კამერუნი გაიყვანა, ოპტიმალურად იყო განწყობილი — გამარჯვებამ რწმენა შეგვმატა, ახლა თასის მოგებაზე უკვე თამამად შეიძლება ფიქრიო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მაროკოც და ეგვიპტეც მეოთხედფინალში გავიდნენ და შესაბამისად სამხრეთ აფრიკას და კოტ დივუარს შეხვდებიან.

მაროკოელთა ნახევარფინალში გასვლის შანსები გუშინ ძლიერ გაიზარდა, რადგან „ბაფანა, ბაფანას“ ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა — მეკარე ბრაიან ბალუიმ, მცველებმა — ენდრიუ რაბუტლამ, მარკ ფიშმა და თავდამსხმელმა ფილ მასინგამ შესაძლოა ნაკრებში ვერ ითამაშონ. ბალუიმ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში ნამიბიასთან მუხლის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ფიშს ბარძაყის კუნთი დასჭიმვია, რაბუტლა ნამიბიასთან მატჩში ზურგში მწვავე ტკივილების გამო შეცვალეს, მასინგა კი უკვე კარგა ხანია, ვერ მოშუშებულა.

**ზამბია 3:1 მოზამბიკი**

**ზამბია: მბულა, მაკახა (მუმამბა 52), ჩინგო, ლიტანა, კამვანგა, ჩილუმბა (მ. ტემბო 65), ლუნგუ, ჯ. ტემბო, კილამბე (მალიტოლი 84), ბვალია, ლოტა**
**მოზამბიკი: ლუიზინიო, ზე აუგუსტო, ტომასი, ჟოჟო, ბარუში (ჟოსიასი 60), მაკამო, პაულიტო (ნანა 40), აველინო, ნურო, ტიკო ტიკო (მავო 67)**
**1:0 კილამბე (16), 2:0 ბვალია (43), 2:1 აველინო (57), 3:1 მ. ტემბო (73)**

რამდენიმე დღის წინ ყველასთვის მოულოდნელად განა გათამაშებას გამოეთიშა. ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა, „მარსელის“ შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა აბედი პელემ კი, რომელიც აფრიკის თასის მეხუთე გათამაშებაში მონაწილეობდა, საერთაშორისო კარიერის დასრულება ამცნო ფეხბურთის ქომაგთ. სამშაბათს ტურნირს, მიუხედავად გამარჯვებისა, ზამბიელები გამოაკლდნენ და ამჯერადაც ზამბიის ყველა დროის უპირველესმა ფეხბურთელმა კალუშა ბვალიამ, პელეს მსგავსად, კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

— ფეხბურთმა ბევრი სიხარული მომიტანა. ვიგემე გამარჯვებაც და მარცხიც. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ მაინც კმაყოფილი ვტოვებ სარბიელს. მართალია ფეხბურთს არც ისეთი სიხარულით ვტოვებ, მაგრამ ვხედავ, ჩემი წასვლის დრო დადგა. უბრალოდ ის მიხარია, რომ აფრიკული ფეხბურთის ისტორიაში პატარა, მოკრძალებული ადგილი დავიკავე — განაცხადა ბვალიამ, რომელიც შავ კონტინენტზე 1988 წელს საუკეთესო მოზურთალადაც აღიარეს.

რაც შეეხება მატჩს, ჯგუფის ლიდერთა შეხვედრას გაცილებით სჯობდა, მაგრამ თავად მეტოქეებმაც კარგად უწყოდნენ, რომ მათი მეოთხედფინალში გასვლის შანსები მიზერული იყო. ოთხი გოლიდან ულამაზესი ბვალიას შეგდებული გამოდგა, რომელმაც 25 მეტრიდან ბრწყინვალე ჯარიმა გაიტანა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ეგვიპტე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:1 | 6 |
| ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| მოზამბიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**მეოთხედფინალები:**

20.02 კამერუნი — კონგო
21.02 ტუნისი — ბურკინა ფასო
21.02 კოტ დივუარი — ეგვიპტე
22.02 მაროკო — ს. აფრიკა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჰასან ჰოსამი (ეგვიპტე) | 5 |
| ჟოელ ტიე (კოტ დივუარი) | 4 |
| ბენი მაკართი (ს. აფრიკა) | 4 |
| სულეიმან ულარე (გვინეა) | 3 |
| ალფონს ჩამი (კამერუნი) | 3 |

# ევროპელი კუნძულზე

„გლაზგო რეინჯერსი“ შოტლანდიის ზედიზედ ცხრაგზის ჩემპიონია და მიმდინარე სეზონში ყველა ღონეს ხმარობს ტიტული მეათედ რომ მოიგოს. თუ ეს შეძლო, მაშინ „რეინჯერსი“ ზევიდან დახედავს უბოროტეს შინაურ მტერს, გლაზგოსავე „სელტიკს“, რომელიც თავისი რეკორდით აქამდე ძლიერ აღიზიანებდა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ „რეი-



დიკ ადვოკაატი

ნჯერსს“ აქილევსის ქუსლიც აქვს. მას საერთაშორისო სარბიელი ჰქვია. ყოველ წელიწადს შინიდან ამაყად გასული გლაზგოელ პროტესტანტთა გუნდი უკან კუდამოძუებული ბრუნდება და საკუთარი თავის გამართლებას ვერ პოულობს. გამოსავალი? „რეინჯერსის“ შეფებმა გადაწყვიტეს, რომ გამოსავალი კონტინენტელი მწვრთნელის მოძებნაა და საამისოდ მთელი ევროპა მოიარეს, ყველა გუნდში შეიხედეს, ყველა კარზე დააკაკუნეს და იპოვნეს ვისიც ეიმედებათ.

50 წლის ჰოლანდიელ დიკ ადვოკაატს „ეინდჰოვენთან“ მეოთხე სეზონი ელევა. მართალია, კონტრაქტი 1999 წლამდე „ფილიპსის“ გუნდში ყოფნას ავალდებულებს, მაგრამ კლუბის კეთილმოსურნე უფროსობასთან საერთო ენა გამონახა და დროზე ადრე დაეთხოვა. 1 ივლისს ადვოკაატი უკვე გლაზგოში იქნება და... ევროშეჯიბრებებიც დაიწყება.

ადვოკაატს საერთაშორისო საქმიანობის, იცოცხლეთ, ისეთი გამოცდილება აქვს. 1984-87 წლებში ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ. 1992-ში ამავე თანამდებობაზე აიყვანეს და იმავე წლიდან 1994-მდე გუნდის თავკაცობაც ჩააბარეს. აშშ-ში, მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე მან გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა, სადაც მომავალ ჩემპიონთან, ბრაზილიასთან წააგო. ამერიკიდან დაბრუნებული, დეკემბერში „ეინდჰოვენს“ ჩაუდგა სათავეში და შედეგსაც მიაღწია — 1996-ში ჰოლანდიის თასი მოიგო, გასულ სეზონში პირველობა.

— კარგ ბედს ვუსურვებთ კაცს, რომელმაც „ეინდჰოვენში“ ჩინებულად იმუშავა. გული გვწყდება, რომ გვტოვებს საუცხოო მწვრთნელი, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია მსოფლიო ფეხბურთში გაბატონებული წესი — თქვა კლუბის პრეს-ატაშემ პედრო სალასარ-ჰეიტმა.

ნეტავ ვინ იქნება ადვოკაატის შემცვლელი? ამბობენ, „ჩელსიდან“ გაგდებული რუუდ გულიტიო. სალასარ-ჰეიტმა თქვა, ჯერ არ გადაგვიწყვეტიაო.

გლაზგოში კი სიამოვნებით იფშვნეტენ ხელებს. „რეინჯერსის“ პრეზიდენტმა დევიდ მიურეიმ გულშემატკივრებს კონტინენტზე წარმატებაც კი აღუთქვა.

— ბედნიერი ვარ, რომ მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი „რეინჯერსში“ იმუშავებს. ქომაგებს დავპირდი, შეძლებისდაგვარად მალე გეტყვით, უოლტერ სმიტის შემცვლელის გვარს-მეთქი. მიხარია, რომ ეს გვარი ადვოკაატია.

ხოლო თავად ადვოკაატი ამბობს: — წინასწარ რამდენჯერმე ველაპარაკე მიურეის. მკაფიოდ ვიცი, რა გზითაც წავიყვან „რეინჯერსს“. იმედი მაქვს, ეს გზა გამარჯვებებს მოგვიტანს.

ფეხბურთელობისას ადვოკაატი „როდას“, „სპარტას“, „უტრეხტს“ და ამერიკული „ჩიკაგო სტინგის“ ნახევარმცველი იყო. იგი 1973-80 წლებში გამოდიოდა პროფესიულ სარბიელზე.

## გერმანია

**თასის ნახევარფინალი**

**ბაიერნი 3:0 შტუტგარტი**

**1:0 ჰამანი (15), 2:0 შოლი (22), 3:0 ტარნატი (25)**

საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მიუნხენის „ბაიერნმა“ ქვეყნის თასის ფინალში ითამაშა. 16 მაისს წარუმატებელი ისტორია დასრულდება, რადგან მასპინძლებმა თასის მფლობელის განადგურებით ფინალს უწიეს.

კარგა ხანია, ჯოვანი ტრაპატონის გუნდს ასე ძლიერად არ უთამაშია — მიუნხენელები ბრწყინვალედ გაისარჯნენ და ბოლო წლებში გაძლიერებული მეტოქე სასტიკად გაანადგურეს. ისე, შტუტგარტელები კიდევ კარგად გადარჩნენ. 10 წუთში სამი გოლი მართლაც იშვიათი სანახავია, მაგრამ კარსტენ იანკერს, ანაც ჯოვანი ელბერს რომ გამართლებოდათ, ამ დროში ხუთი ბურთიც გავიდოდა. სტუმრებმა ერთადერთი ხეირიანი შეტევა 86-ე წუთზე განახორციელეს და მაშინაც ოლივერ კანმა ბობიჩის თავური ზედ კარის ხაზზე დაიჭირა.

— ასეთი შეძრწუნებული უკვე მეორედ ვარ. ერთხელ თავზარი ლევერკუზენში დამეცა, მეორედ ახლა. მეტოქე, თქმა არ უნდა, უძლიერესი გვყავდა, მაგრამ ასე თუ დაგვჯაბნიდა, არ მეგონა. ერთი პირობა ეჭვიც შემეპარა, „ბაიერნის“ ვარჯიშს ხომ არ ვუცქერ-მეთქი — განაცხადა დამარცხებულთა მწვრთნელმა იოახიმ ლეუმ. მისმა იტალიელმა კოლეგამ ჯოვანი ტრაპატონიმ კი მხოლოდ ის თქვა, ფეხბურთელებმა ისე ითამაშეს, როგორც ვთხოვეო.

## საფრანგეთი

**ლიგის თასის მეოთხედფინალი**

**მარსელი 2:3 ოსერი**

**0:1 გივარში (21), 1:1 მაკელელე (30), 1:2 გივარში (53), 2:2 ბლანი (84პ), 2:3 გივარში (90)**

ამ სეზონში „მარსელმა“ „ოსერი“ ყველა შეხვედრაში დაამარცხა. ახლაც უდავო ფავორიტებად მასპინძლები ითვლებოდნენ, მაგრამ მარსელელებმა, ეტყობა, ვერ გაითვალისწინეს სტუმართა შორის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერის, სტეფან გივარშის ყოფნა და დაისაჯნენ კიდეც.

ნაკრების მცველის ბერნარ დიომედის გადაცემით გივარშმა 21-ე წუთზე ჰეთთრიქს დაუდო სათავე. მართალია, სტუმართა მეკარე ფაბიენ კული მაკელელემ მალევე დაამწუხრა, მაგრამ ნათელი გახდა, რომ „მარსელს“ „ოსერის“ ძლევა ძლიერ გაუჭირდებოდა.

მეორე ნახევარში სტუმრებმა მეტოქის დაცვაში ნაპრალები შენიშნეს და გივარშმაც მალე იხეირა. ამჯერად ზღვისპირელებს საპასუხო გოლის ცდამ დიდხანს მოუწიათ — სანამ იტალიელი ფაბრიციო რავანელი ოსერელებმა საჯარიმოში არ დასცეს, სხვაობა მინიმალური იყო. პენალტი ბლანმა ზუსტად დაარტყა.

ყველას ეგონა, შეხვედრა ფრედ დასრულდებაო, მაგრამ არბიტრის [illegible] ბული ორი წუთი [illegible] გივარშისთვის საკმარისი აღმოჩნდა — მის მორიგ დარტყმას მასპინძელთა კარის დარაჯი ლორენ ლემასონი საათნახევრის მანძილზე მესამედ ვერ აღუდგა წინ.

**ამხანაგური მატჩი**

**ისრაელი 4:0 თურქეთი**

**1:0 ტალასნიკოვი (11), 2:0 ჰარაზი (23), 3:0, 4:0 მიზრაჰი (51, 62)**

— ლუკას „ჩელსის“ მწვრთნელად დანიშვნა იგივეა, ფორმულა-1-ის მანქანის საჭესთან გამოუცდელი მძღოლი რომ დასვა. მე ასე ძლიერ არ გავრისკავდი, მით უმეტეს ისეთ გუნდში, რომელსაც თამამად შეუძლია დიდი გამარჯვების მოპოვება — განაცხადა „მილანის“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

მართლაც, საკმაოდ სარისკო საქმეა, ალმავლობის გზაზე მყოფი გუნდი მწვრთნელობაში გამოუცდელ კაცს ჩააბარო. მიუხედავად ამისა, „ჩელსიში“ გარისკეს.

— ვიცი, ბევრს შეეპარება ეჭვი ჩემს კომპეტენტურობაში, მაგრამ ხანდახან თუ არ გარისკე, ერთფეროვანი ცხოვრება მოგკლავს. მეც ძლიერ ვღელავ. ასეთი პასუხიმგებლობა კარგა ხანია, არ მიგრძნია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შევეცდები, კლუბის მიზნები რეალობად ვაქციო.

# ვიალი ყველაფერს ახსნის

ვიალი მწვრთნელი არ არის, ეს ფაქტია. იგი უფრო ფეხბურთელადაა დაბადებული, მაგრამ ხანდახან ცხოვრება მოითხოვს, ადამიანი გარდაიქმნას. ამ კრიტიკული მომენტის გადატანა აუცილებელია. ვიალის დღეს სწორედ ასეთი პერიოდი უდგას, თუმცა ღრმად სწამს, რომ მისი სამწვრთნელო კარიერა უსახური არ იქნება.

— როცა ფეხბურთელი ვიყავი, ყველა ჩელსელი ჩემი მეგობარი იყო. ვიცი მათი შეხედულება ფეხბურთზე, ამიტომ, იმედია, გამიგებენ, ხანდახან ერთს თუ მეორე ვამჯობინე. ვყოფილვარ მოთამაშე და გამომიცდია, რას ნიშნავს სათადარიგოთა შორის ყოფნა. ეს ფეხბურთელისთვის მძიმე ტრავმაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მისივე უნიათობითა და ზარმაცობით არის გამოწვეული. ხდება ხოლმე, მწვრთნელები ფეხბურთელებს აითვალწუნებენ და თამაშს არ ალირსებენ, მაგრამ ეს „ჩელსიში“ არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თავკაცობისას. ვისაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევს, ყველას ავუხსნი ამ გადაწყვეტილების მიზეზებს. არ მინდა გაუგებრობა ზურგსუკან წარმოიშვას, სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას.

ვიალის მწვრთნელად დანიშვნა ყველასათვის მოულოდნელობა იყო. ცხადია, როცა ძლიერი გუნდი უცაბედად იცვლის თავკაცს, დიდი მითქმა-მოთქმა იწყება. ამჯერადაც არ მომხდარა გამონაკლისი. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, ვიალია გულიტის „ჩელსიდან“ წასვლაში დამნაშავეო. სიმართლე ჯერ არ დადგენილა, მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ჭორს რაიმე რეალური საბაბიც აქვს. ასეთი ამ შემთხვევაში გულიტ-ვიალის დამოკიდებულება იყო. მას ცუდი არ ეთქმოდა, მაგრამ გულიტი ხომ ვიალის ერთობ იშვიათად ათამაშებდა. მიუხედავად ამისა, ნაკლებ სავარაუდოა, მწვრთნელთა ცვლაში ვიალის ხელი ერიოს.

— მე „ჩელსის“ მწვრთნელად დანიშვნა არავისთვის მითხოვია. თუ კლუბის თავკაცებმა ასე გადაწყვიტეს, ესე იგი ჩათვალეს საჭიროდ, ახლა ჩემთვის მთავარი მათი იმედების გამართლებაა. პირველივე მატჩიდან ვეცდები, მაქსიმუმი შევძლო — განაცხადა ახალგამომცხვარმა მწვრთნელმა.

რაც შეეხება მის პირველ გამოცდას, ვიალი-მწვრთნელის მეტოქე ლონდონისავე „არსენალი“ იქნება. „ჩელსიმ“ ლიგის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი „მეთოფეებთან“ ჰოლანდიელი მწვრთნელის თავკაცობით ითამაშა, საპასუხოს კი იტალიელი თავკაცით ხვდება.

...ის შეხვედრა „ჰაიბერიზე“ მასპინძლებმა 2:1 მოიგეს.

**ივან სპიძი, როიტერი**

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი**

**32-ე ტური. ბერი — სტოკ სიტი 0:0; ჩარლტონი — ქუინზ პარკი 1:1; კრიუ — ბირმინგემი 0:2; ოქსფორდი — ვესტ ბრომვიჩი 2:1; პორტ ვეილი — სვინდონი 0:1; პორტსმუთი — სტოკპორტი 1:0; სანდერლენდი — რედინგი 1:0; ნოტინგემი — ჰადერსფილდი 3:0;**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. XXXIII ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფრაიბურგი — ნიურნბერგი | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| ლაიპციგი — კოტბუსი | 1,9 | 3,0 | 3,2 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი — ცვიკაუ | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლ ცაისი — კიკერსი | 1,9 | 3,0 | 3,2 |
| ფიურტი — მაინცი | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| გიუტერსლოო — ზანკტ პაული | 1,9 | 2,8 | 3,4 |

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| აინტრახტი — ვატენშაიდი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — დიუსელდორფი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მეპენი — ფორტუნა | 2,0 | 3,0 | 3,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVII ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — კრისტალ პალასი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ბოლტონი — ვესტ ჰემი | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| ქოვენთრი — ბარნსლი | 1,4 | 3,5 | 5,6 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლესტერი — ჩელსი | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| მანჩესტერი — დერბი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| შეფილდი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,9 | 3,3 |
| საუთჰემპტონი — ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| უიმბლდონი — ასტონ ვილა | 2,0 | 2,8 | 3,2 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ლიდსი | 2,0 | 2,8 | 3,2 |

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლივერპული — ევერტონი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXIII ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — ოქსფორდი | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| ჰადერსფილდი — ვულვერჰემპტონი | 2,6 | 3,0 | 2,2 |
| იფსვიჩი — ნორვიჩი | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| მიდლსბრო — სანდერლენდი | 1,9 | 2,9 | 3,3 |
| ქუინზ პარკი — პორტ ვეილი | 1,5 | 3,2 | 5,3 |
| რედინგი — პორტსმუთი | 1,6 | 3,2 | 4,2 |
| სტოკპორტი — ჩარლტონი | 2,2 | 2,8 | 2,8 |
| სტოკი — ნოტინგემი | 3,3 | 2,9 | 1,9 |
| სვინდონი — სიტი | 1,9 | 3,0 | 3,2 |
| ტრანმერი — ქრიუ | 1,7 | 3,1 | 3,8 |
| ვესტ ბრომი — ბერი | 1,35 | 3,6 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — შეფილდი | 2,9 | 2,8 | 2,8 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVII ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ტულუზი | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| ბასტია — მონაკო | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| გინგამი — პსჟ | 2,5 | 2,9 | 2,3 |
| ლანსი — ბორდო | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| ოსერი — კანი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მარსელი — რენი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლე ავრი — მეცი | 2,5 | 2,9 | 2,3 |
| მონპელიე — ლიონი | 2,2 | 2,8 | 2,8 |
| სტრასბური — შატორუ | 1,5 | 3,4 | 4,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXII ტური

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ლეჩე | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ბოლონია — პიაჩენცა | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| ბრეშა — ატალანტა | 1,8 | 3,0 | 3,5 |
| ფიორენტინა — იუვენტუსი | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| ლაციო — ინტერი | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| მილანი — ემპოლი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ნაპოლი — რომა | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| პარმა — ვიჩენცა | 1,4 | 3,4 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სამპდორია — უდინეზე | 1,9 | 2,9 | 3,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXIII ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონცა — ტრევიზო | 2,3 | 2,8 | 2,6 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — რავენა | 1,8 | 2,9 | 3,6 |
| კალიარი — ვერონა | 1,6 | 2,9 | 5,0 |
| კიევო — ჯენოა | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| ფ. ანდრია — დი სანგრო | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| პადოვა — ლუკეზე | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| პერუჯა — ვენეცია | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| რეჯანა — სალერნიტანა | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| რეჯინა — ფოჯა | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| ტორინო — პესკარა | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXVI ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტენერიფე — რეალი | 3,0 | 3,0 | 2,0 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეტისი — ესპანიოლი | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| ატლეტიკო — სარაგოსა | 1,35 | 3,5 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სალამანკა — მერიდა | 1,9 | 2,9 | 3,3 |
| სოსიედადი — ოვიედო | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ვალენსია — სელტა | 2,0 | 2,8 | 3,2 |
| დეპორტივო — ბილბაო | 2,2 | 2,8 | 2,8 |
| სპორტინგი — ვალიადოლიდი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| მალიორკა — რასინგი | 1,4 | 3,5 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ბარსელონა — კომპოსტელა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXVIII ტური

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბასეტე — ტოლედო | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| ეიბარი — ვილიარეალი | 1,9 | 2,8 | 3,4 |
| ლას პალმასი — რაიო | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| ლეიდა — ერკულესი | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| ორენსე — ოსასუნა | 1,8 | 2,8 | 3,8 |
| ხაენი — ლევანტე | 1,8 | 2,8 | 3,8 |
| სერესი — ალავესი | 4,0 | 3,0 | 1,7 |
| ელჩე — ლეგანესი | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| ესტრემადურა — ატლეტიკო B | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| ბადახოსი — სევილია | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| ლოგრონიესი — ნუმანსია | 1,9 | 2,8 | 3,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXII ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კამპომაიორენსე — პორტუ | 4,0 | 3,0 | 1,7 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეცა — ამადორა | 2,0 | 2,7 | 3,3 |
| სეტუბალი — ვარზიმი | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| აკადემიკა — მარიტიმუ | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| შავეში — ბელენენსეში | 1,9 | 2,8 | 3,4 |
| რიუ ავე — სალგეირუში | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| ფარენსე — გიმარაეში | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| სპორტინგი — ბენფიკა | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| ბრაგა — ბოავიშტა | 1,8 | 2,9 | 3,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXIII ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოლენბეკი — ბრიუგე | 4,2 | 3,2 | 1,6 |
| ანტვერპენი — ვესტერლოო | 2,0 | 3,0 | 3,0 |
| ბევერენი — ჰარელბეკი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| გენტი — ლოკერენი | 1,9 | 2,9 | 3,3 |
| შარლერუა — ეკერენი | 2,8 | 2,8 | 2,2 |
| მუსკრონი — ანდერლეხტი | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| სტანდარდი — აალსტი | 1,7 | 2,8 | 4,4 |
| გენკი — ლომელი | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| ლიერსი — სტ. ტრუიდენი | 1,6 | 3,0 | 4,7 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — კილმარნოკი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი | 1,9 | 2,8 | 3,4 |
| ჰიბერნიანი — რეინჯერსი | 7,0 | 5,0 | 1,2 |
| მოზერველი — ჰართსი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| სტ. ჯონსტონი — აბერდინი | 1,7 | 2,9 | 4,2 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXIII ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურსასფორი — ანკარაგიუჯე | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| შექერსფორი — ტრაბზონსფორი | 6,0 | 4,0 | 1,3 |
| ბეშიქთაში — ალთაი | 1,25 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვანსფორი — ისთანბულსფორი | 6,0 | 4,0 | 1,3 |
| გენჩლერბირლიგი — სამსუნსფორი | 2,5 | 2,9 | 2,3 |
| ანთალიასფორი — გალათასარაი | 4,7 | 3,4 | 1,5 |
| ფენერბაჰჩე — ქაისერისფორი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრონინგენი — გრააფსხაპი | 1,8 | 2,8 | 3,8 |

### აფრიკის თასი. მეოთხედფინალი

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კამერუნი — კონგო | 1,6 | 3,1 | 4,4 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტუნისი — ბურკინა ფასო | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| კოტ დივუარი — ეგვიპტე | 2,2 | 2,9 | 2,7 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ს. აფრიკა — მაროკო | 2,0 | 3,0 | 3,0 |

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი (27-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| საფრანგეთი (27-ე) | 21 და ნაკლები — 1,9 | 23 და მეტი — 1,9 |
| იტალია (22-ე) | 22 და ნაკლები — 1,9 | 24 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (26-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |

### ჰოკეის მატჩების კოეფიციენტებს ადგილზე გაეცანით

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

## ფეხბურთის რუკასთან



საფრანგეთის ნაკრებში რამდენიმე წლის წინ ბრწყინავდა გარემარბი დავიდ ჟინოლა. დღეს ჟინოლას იმედი აღარ აქვს, რომ სამფეროვანთა გუნდში მიიწვევენ და მსოფლიოს პირველობაზე ათამაშებენ. როდესაც ცნობილმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" სანაკრებო პერსპექტივაზე ჩამოუგდო სიტყვა, ლონდონური „ტოტენჰემ ჰოტსპურის" წამყვანმა მოთამაშემ უპასუხა: „ეს თუ მოხდა, ნამდვილი ზღაპარი იქნება. როგორც ყოველ თამაშში თავდადებულ ფეხბურთელს, მაინც მიხარებს გულს მსოფლიოს პირველობაზე ფიქრი, მაგრამ როგორც ადამიანს, ეჭვი მეპარება, რომ მე იქ ვიქნები. ბუნებით რეალისტი გახლავართ და შემიძლია ნიძლავიც ჩამოვიდე რომ ემე ჟაკე გუნდში არ ამიყვანს". იმავე ინტერვიუში ჟინოლამ თქვა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედში" თამაშის დროს კევინ კიგანის ნაცვლად მწვრთნელად კენი დალგლიში რომ მივიდა, მას ფეხბურთი შეზიზღდა და კარიერის დამთავრებაც გადაწყვიტა, მაგრამ ახლა, „სპურზში" თავიდან შეუყვარდა საქმე.

**ინგლისის** ჩემპიონის „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი აღშფოთდა. აღშფოთების მიზეზი გახლდათ ის, რომ „ბარნსლისთან" ამასწინანდელ სათასო შეხვედრაში, თამაშის მიწურულს მისმა ფეხბურთელმა გარი ნევილმა მოწინააღმდეგეს თავის საჯარიმოში კვანტი გამოსდო, მაგრამ აშკარა პენალტის დანიშვნა არ ისურვა და ეს ტელევიზიით განხილვის საბაბი შეიქნა. პოპულარულმა ტელეჟურნალისტმა და სტუდიაში მიწვეულმა შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ენდი გრეიმ განაცხადეს, ეს ეპიზოდი „ბარნსლის" საჯარიმოში რომ ყოფილიყო, არბიტრის სასტვენი არ დააყოვნებდაო. „ეს როგორ თქვეს გუნდზე, რომელსაც 9 წლის მანძილზე სულ 11 პენალტი დაარტყმევინეს?" — გაცხარდა ფერგიუსონი, რომელიც „ბარნსლისთან" საპასუხო შეხვედრაში მოედანზე ახალგაზრდებისა და დუბლიორების გაყვანას აპირებს. მისი აზრით, ჩემპიონთა თასისთვის, პრემიერლიგის ტიტულისა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასისთვის ერთდროულად, ერთი შემადგენლობით ბრძოლა შეუძლებელია.

**ბრაზილიელი** თავდამსხმელის, სონი ანდერსონის აგენტის, ოსკარ დამიანის განცხადებით, ფეხბურთელმა შესაძლოა „ბარსელონა" დასტოვოს. ანდერსონი, „ბარსას" მწვრთნელმა ჰოლანდიელმა ლუის ვან გაალმა კვირას „მალიორკასთან" არ ათამაშა და საერთოდაც გუნდისგან ცალკე, დამოუკიდებლად ვარჯიში მოუსაჯა. მიზეზი ის ყოფილა, რომ ბრაზილიელს ვან გაალი პრესაში გაუკრიტიკებია. დამიანმ სცადა თავისი კლიენტისთვის პირი მოებანა, თქვა ანდერსონი მართალია მწვრთნელს ტაქტიკას უწუნებს, მაგრამ როგორც ფეხბურთელი, მზადაა ნებისმიერი დავალება შეასრულოსო. მანვე დასძინა: „ჩვენ იტალიური და ფრანგული კლუბებისგან უკვე მივიღეთ მიწვევა". აღსანიშნავია, რომ მას მერე, რაც „მონაკოდან" კატალონიაში 20 მილიონ დოლარად გადავიდა, ბრაზილიელი თავდამსხმელი ხელმოცარულია, სეზონში ჯერჯერობით ხუთი გოლის მეტი ვერ გაიტანა.

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია მოუსაჯა „სელტას" მცველს მიგელ სალგადოს, რომელმაც მადრიდის „ატლეტიკოს" ბრაზილიელ თავდამსხმელს ჟუნინიოს ფეხი მოტეხა. საბრალო ჟუნინიო შესაძლოა ივნისამდე ექიმების შემყურე დარჩეს და მსოფლიოს ჩემპიონატი ტელევიზორთან ჩაატაროს. ისე, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე სალგადო იმ, ფეხის ტეხვის ეპიზოდში ყვითელ ბარათსაც კი გადაურჩა. „წესით სალგადო რვა თამაშით უნდა დაგვეტოვებინა მოედნის გარეთ, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ ჟუნინიოს სახალხოდ მოუხადა ბოდიში, აღიარა, რომ გაძევების ღირსი იყო და დაშავებულის მდგომარეობასაც რეგულარულად კითხულობს" — წერია ფედერაციის პრეს-რელიზში. და მაინც, სასჯელი ლმობიერად მიიჩნიეს. ესპანური ფეხბურთის ხელმძღვანელებს ცალკე ბრაზილიური ფედერაციის ბოსებმა და ცალკე ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა უსაყვედურეს. საინტერესოა, რომ ესპანეთის ფედერაციაში ვერდიქტი გასულ პარასკევს გამოიტანეს, მაგრამ სამი დღის მანძილზე დუმილი არჩიეს, რათა სალგადოს კვირას, „რეალ სოსიედადთან" თამაშის საშუალება ჰქონოდა.

**იუგოსლაველ** სავო მილოშევიჩს მართალია ბირმინგემის „ასტონ ვილადან" გაქცევა სურს, მაგრამ კლუბი არ ეშვება, გოლის გამტანი კაცი არ გვრჩება და იქნებ დარჩეო. მილოშევიჩი „ვილას" ერთი მხრივ სატრანსფერო სიაში ჰყავს ჩაწერილი, მეორე მხრივ კი კლუბის პრეზიდენტმა დუგ ელისმა განაცხადა: „სავომ იცის, რომ მისნაირი პრობლემის მქონე კაცისთვის ჩემი კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა. მჯერა, ჩემთან სალაპარაკოდ რომ მოვიდეს, საუბარი იმით დასრულდება, რომ მხარზე ხელს მოვხვევ და ვეტყვი, ნუ ხარ ასე სულელი. გული მწყდება, რადგან გულშემატკივრებს მილოშევიჩი კარგ ფეხბურთელად მიაჩნიათ, იგი ძლიერ ნიჭიერია და თუ წავა, სამწუხარო იქნება". მილოშევიჩის თაობაზე „ვილას" მწვრთნელს ბრაიან ლიტლს მადრიდის „ატლეტიკო" დაუკავშირდა. ლიტლმა თქვა: „სავო დაუღალავად ვარჯიშობს, მაგრამ გუნდიდან წასვლა აქვს აჩემებული. ჯერჯერობით ალბათ აჯობებს მოედანზე ჯულიან იოაჰიმი გავიყვანო, მილოშევიჩს კი გონს მოგების დრო მივცე".

**ფრანგი** ერიკ კანტონა 28 თებერვალს თავს დაადებს და მექსიკას გაეშურება. არა, კანტონა ოკეანის გადაღმა საბურთაოდ არ მიდის, იქ კინოში უნდა გადაიღონ. ფილმს ფრანგული კინოკომპანია იღებს. გადაღების ხანგრძლივობა სამი თვე იქნება. მერე რა? რა და ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" გმირყოფილს 24 თებერვლისთვის ვარსკვლავთა ნაკრების შედგენა ევალებოდა. როგორც ადრეც გაუწყეთ, ამ დღეს „ოლდ ტრეფორდზე" უნდა გამართულიყო საჩვენებელი მატჩი, რომელიც 1952 წლის მიუნხენის ტრაგედიის მე-40 წლისთავს მიეძღვნებოდა. მატჩის შემოსავალი ავიაკატასტროფაში დაღუპულ ფეხბურთელთა ოჯახებს უნდა გადასცემოდა. კი მაგრამ, 24 თებერვალი ხომ 28-ზე ადრეა. ეთამაშა და მერე გაფრენილიყო მექსიკოში, იკითხავთ თქვენ. მართალია, მაგრამ 24-ში თამაში არ გამოდის, რადგან „იუნაიტედის" ახლანდელმა თაობამ მაჩანჩალა „ბარნსლის" თასის თამაში ვერ მოუგო და 25-ში მას მეორედ უნდა დაეჭიდოს. აქედან გამომდინარე, მანჩესტერელებს თამაშის გადადება მოუწევთ, მაგრამ როგორც ჩანს, ზაფხულამდე. სირცხვილიაო, ამაზე თქვა გუნდის მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

**ხორვატიის** ჩემპიონმა ზაგრების „კროაციამ" პოპულარული მწვრთნელი მარიან ვლაკი ყოფილი მოთამაშით, ზლატკო კრანიკარით შეცვალა. ვლაკი გასულ კვირაში გადადგა თანამდებობიდან. როგორც ამბობენ, იგი კლუბის პრეზიდენტმა ზლატკო კანიუგამ გააბრაზა. კანიუგა თურმე ზედმეტი ძალაუფლების მოპოვებას ლამობდა. „კროაციამ" 1996 და 1997 წლებში ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და თასიც. დღეს ზედიზედ მესამე წარმატების მოპოვება ახალ თავკაცს დაევალა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში, ამ სეზონის დასაწყისში, „კროაცია" ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა", უფრო ზუსტად კი თემურ ქეცბაიამ არ შეუშვა. ქართველმა მის კარში დამატებითი დროის ბოლო წუთზე შეაგდო გადამწყვეტი გოლი. უეფას თასზე გადასული გუნდი მადრიდის „ატლეტიკომ" გამოთიშა შეჯიბრებას. შიდა ჩემპიონატში, დღეისთვის „კროაცია" ერთი ქულით ჩამორჩება სპლიტის „ჰაიდუკს". რაც შეეხება ახალ მწვრთნელს, კანიკარს, იგი 80-იან წლებში გუნდის (მაშინ „დინამო" ერქვა) ბომბარდირი იყო, შემდეგ ავსტრიაში თამაშობდა, საიდანაც სამშობლოში ქვედა ლიგის გუნდების მწვრთნელად დაბრუნდა.

**საფრანგეთის** მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა, მამალი ფუტიქსი გამოკითხვის თანახმად თავად სამფეროვან ქვეყანაში სულაც არაა პოპულარული. დღეს, გამოკითხვის სრული შედეგები ცნობილ ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნდება. ეს ჟურნალი სარეკლამო საქმის კომპანია „კარატ ექსპრესს" ეკუთვნის. ჩვენთვის რეფერენდუმის დეტალები ბუნებრივია ნაცნობია და მაინცდამაინც არც გვაინტერესებს, მაგრამ ცნობილია, რომ საფრანგეთის მოსახლეობის მხოლოდ 23-მმა პროცენტმა უპასუხა შეკითხვაზე, რა თილისმა აქვს მსოფლიოს მოახლოებულ პირველობას.

**ჰოლანდიური** „ფეიენოორდის" სათავეში კიდევ ერთი წლით დარჩება ცნობილი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი — ასეთია სააგენტო ANP-ს ცნობა. გეხსომებათ, რომ ბეენჰაკერმა როტერდამის გუნდის თავკაცის თანამდებობაზე შეცვალა წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი არი ჰაანი. ჰაანი „ფეიენოორდიდან" ნოემბერში გაანთავისუფლეს, მიზეზი ცუდი შედეგები გახლდათ. როგორც ცნობილია, როტერდამელები ეძებდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერ და ამბიციურ მწვრთნელს, რომელთანაც სიამოვნებით გააფორმებდნენ მრავალწლიან კონტრაქტს, ბეენჰაკერს კი ახალგაზრდულ გუნდს ჩააბარებდნენ. ეტყობა, ეს გეგმა ჯერჯერობით არ ხორციელდება. ყოველ შემთხვევაში, ბეენჰაკერის კონტრაქტის განრცობამ შეაჩერა ჭორები რუუდ გულიტის „ფეიენოორდის" მწვრთნელად მიწვევის შესახებ. მოგეხსენებათ, გულიტი გასულ კვირაში ლონდონის „ჩელსის" თავკაცის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს.

**ისრაელის** ნაკრების ფეხბურთელს ჰაიმ რევივოს „სელტასგან" ალბათ „ბარსელონა" იყიდის. ეს ცნობა ყოველდღიურმა გაზეთმა „მარკამ" გაავრცელა. მოგეხსენებათ, „ბარსას" ყოფილი მწვრთნელი ბობი რობსონი დღეს ამავე კლუბში ახალ ფეხბურთელთა შერჩევისა და მოზიდვის ამოცანას ასრულებს. სწორედ მას დაუდგამს რევივოსთვის თვალი. განსაკუთრებით რობსონს რევივო მიმდინარე სეზონის დასაწყისში, „სელტასა" და „ესპანიოლის" შეხვედრაში მოსწონებია. ის შეხვედრა „სელტამ" მოიგო 1:0. „ბარსელონა" მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია — თქვა რევივომ — ნებისმიერ ფეხბურთელს სურს, რომ ამ გუნდმა თვალი დაადგას". საკუთრივ „ბარსელონას" „მარკას" მიერ გავრცელებულ ამ ცნობაზე რეაგირება არ მოუხდენია, სამაგიეროდ მან უარჰყო ხმა, თითქოს მაიორკელი ხუან კარლოს ვალერონის შეძენით იყოს დაინტერესებული.

# პრინცი შარლ დე გოლის ცხვირით

ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლის სახელი ვისაც არ სმენია, ფეხბურთი არ ყვარებია. რა ხანია ფრანჩესკოლი თამაშობს. შეიძლებოდა ეჭვიც კი გაგჩენოდათ დაანებებს თუ არა იგი ოდესმე თავს ბურთაობას, მაგრამ ეტყობა ამქვეყნად მართლა ყველაფერს აქვს დასასრული. კარიერის ბოლო მონაკვეთი ფრანჩესკოლიმ არგენტინულ „რივერ პლეიტში" გაატარა, იქაც პრინცის მეტსახელი შეიმატა და ახლა, 36 წლისამ ოფიციალურად დაასრულა ფეხბურთელის კარიერა.

როგორც ბუენოს აირესში გამომავალი გაზეთი „ლა ნასიონ" წერს, 1980 წლიდან მოყოლებული ურუგვაელმა პრინცმა უმაღლეს საფეხბურთო საფეხურზე 236 გოლი გაიტანა.

— გადაწყვეტილება, რომელიც მე მივიღე ძალიან პირადი და მნიშვნელოვანია. არ აღელვებულვარ, კარგა ხანს ვიფიქრე სანამ რაიმეს ვიტყოდი. იმედი მაქვს კლუბში გამიგებენ — თქვა ფრანჩესკოლიმ.

პრინცს „რივერ პლეიტში" 9 ნომრიანი მაისური ეცვა და ამ ხნის განმავლობაში შვიდჯერ მოიპოვა არგენტინის ჩემპიონის ტიტული. სულ, მთელი კარიერის მანძილზე მან არგენტინულ, ურუგვაულ, ფრანგულ და იტალიურ გუნდებში 618 შეხვედრა ჩაატარა და ჩემპიონის 11 მედალიც შეაქუჩა.

მათ, ვისაც არ სჯეროდა, რომ ფრანჩესკოლი ოდესმე დაანებებდა ფეხბურთს თავს, მოიგონეს, ფეხბურთელის გადაწყვეტილება ურუგვაის ნაკრების საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერგასვლამ განაპირობაო. მეორენი ამბობდნენ პრინცს მშვიდი ოჯახური ცხოვრება მოენატრაო. არ არის დრო?

ენცო ფრანჩესკოლიმ „რივერ პლეიტის" პრეზიდენტს დავიდ პინტადოს არც მეტი, არც ნაკლები ერთ მილიონ დოლარად კონტრაქტის სამი თვით (!) გაგრძელებაზე უთხრა უარი.

დღეს ყველანი კიდევ ერთხელ აღიარებენ, რომ შარლ დე გოლის ცხვირიან, თვალებგადმოკარკლულ და ლოყებჩაცვენილ თავდამსხმელს უზადო ტექნიკა ჰქონდა.

„დემაგოგიისა და თეატრალურობის მტერი მოედანზე ვირტუოზული თამაშით იქცევდა ყურადღებას" — წერდა „ლა ნასიონის" მესვეტე კლაუდიო მაური.

ენცო ფრანჩესკოლი არგენტინელ ხალხს ფეხბურთიდან წასასვლელად არ ემეტება, ამიტომაც თხოვეს და დაითანხმეს...

პრინცი ერთხელაც ითამაშებს „რივერ პლეიტის" სტადიონზე, სამჯერ კი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

პრინცი „რივერ პლეიტში" 1983-86 და 1994-97 წლებში თამაშობდა.



# მწყერი ხეზე

რუსეთი. სანკტ პეტერბურგის ღია პირველობა. ტარდება ჰარდზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 340 ათასი $

**მეოთხედფინალი:** ტომას იოჰანსონი (5, შვედეთი) — ფაბრის სანტორო (3, საფრანგეთი) 6:3, 6:3; სედრიკ პიოლინი (2, საფრანგეთი) — ჰენდრიკ დრეეკმანი (გერმანია) 4:6, 6:3, 7:5; მარკ როსე (4, შვეიცარია) — დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) 6:4, 6:3; რიჩარდ კრაიჩეკი (1, ჰოლანდია) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:4), 6:1

**ნახევარფინალი:** კრაიჩეკი — იოჰანსონი 6:4, 6:4; როსე — პიოლინი 6:1, 6:4

**ფინალი:** კრაიჩეკი — როსე 6:4, 7:6 (7:5)

უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა კრაიჩეკმა საფინალო მატჩში გარდატეხა პირველი სეტის ბოლოს შეიტანა, როდესაც 2:4-ზე ჯერ სამი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, მერე კი ახმახ როსეს ზედიზედ ორჯერ აართვა მოწოდება. მეორე სეტში ამ უკანასკნელს მსაჯები გამოესარჩლნენ და მატჩ-პოინტზე ჰოლანდიელის ჩაგდებულს აუტი მიაძახეს, თუმცა კრაიჩეკმა ბოლმა ტაი-ბრეიკზე გადმოანთხია — თავისი 18 ეისიდან ოთხი აქ მიითვალა და რუსეთიდან მეთოთხმეტე ტიტული და 45 ათასი დოლარი გააყოლა ხელს.

არაბეთის გაერთიანებული საამიროები. დუბაის ღია პირველობა. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 1 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** იონას ბიორკმანი (1, შვედეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:1; ფელიქს მანტია (6, ესპანეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 6:4, 6:4; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 6:2; ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 7:6 (7:1), 5:7, 6:4

**ნახევარფინალი:** კორეჩა — ბიორკმანი 6:3, 6:3; მანტია — ფერერა 7:6 (12:10), 4:6, 6:4

**ფინალი:** კორეჩა — მანტია 7:6 (7:0), 6:1

ყოველგვარი ლოგიკისა და მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ჰარდის მილიონიანი ტურნირის ფინალში ორი ესპანელი აღმოჩნდა. კორეჩასაც და მანტიასაც ტურნირები აქამდე მხოლოდ თიხნარზე მოეგოთ და მაყურებელიც უკანა ხაზიდან ხანგრძლივი გათამაშებებისთვის გაემზადა. თანაქალაქელებმა, თანაც ერთმანეთის სპარინგ-პარტნიორებმა და დიდმა მეგობრებმა პირველ სეტში არაპებს იმედი არ გაუცრუეს — უკანა ხაზს დაბმულივით მიეჯაჭვნენ და ბადისკენ ნაბიჯიც არ გადადგეს, მხოლოდ კორტის სიღრმიდან ურტყეს კროსები თუ მოჭრილები. ასეთმა თამაშმა უპირატესობა მანტიას მოუტანა და მისი მეტოქე იძულებული გახდა, ტაქტიკა შეეცვალა: კორეჩამ თავიდან გაუბედავად, მერე კი სულ უფრო ხშირად და თავდაჯერებით დაიწყო წინ გასვლით ქულების მითვლა. მატჩის ბედის გადამწყვეტ ტაი-ბრეიკზე მან მეტოქეს ანგარიშის დასველების შანსიც კი არ მისცა, მეორე სეტში კი თამაშის სადავეები საბოლოოდ იგდო ხელთ და მანტიას ერთადერთი გეიმი დაანება. „უკვე ორი წელია, ძალზე ბევრს ვმუშაობ. ასე რომ, ეს მატჩი დღეს კი არა, ვარჯიშებზე მოვიგე. ახლა უკანა ხაზიდან კარგი თამაშის გარდა ბადესთან გასვლაც შემიძლია, მართალია, მთლად სტეფან ედბერგი არა ვარ, მაგრამ ზოგჯერ არცთუ ისე ცუდად გამომდის" — განაცხადა მატჩის შემდეგ გამარჯვებულმა, რომელსაც ხელგაშლილმა მასპინძლებმა 142 ათასი დოლარი და გემის ფორმის ვერცხლის მთავარი ჯილდოც გაატანეს შინ.

საფრანგეთი. პარიზის ღია პირველობა. ტარდება ჰარდზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 480 ათასი $

**მეოთხედფინალი:** მარი პირსი (3, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (5, გერმანია) 1:6, 6:1, 6:2; იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — ბარბარა პაულუსი (ავსტრია) 6:2, 1:6, 6:4; დომინიკ ვან რუსტი (6, ბელგია) — ივა მაიოლი (2, ხორვატია) 7:5, 6:3; ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 7:5

**ნახევარფინალი:** პირსი — ნოვოტნა 6:4, 2:6, 6:3; ვან რუსტი — ტოზია 7:6 (7:4), 1:6, 6:1

**ფინალი:** პირსი — ვან რუსტი 6:3, 7:5

წესით და რიგით, ტურნირზე პირსის გამარჯვება ნამდვილად არ იყო მოსალოდნელი — მეოთხედფინალში მხრის ტკივილის გამო თამაშისთვის თავის დანებებას აპირებდა, ნახევარფინალის მეტოქესთან — იანა ნოვოტნასთან 5 პირად შეხვედრაში მანამდე ერთი სეტიც არ მოეგო და ბოლოს, აქამდე თავისი ცხრა ტიტულიდან მშობლიურ მიწაზე ერთიც არ მოეპოვებინა. მაგრამ მარიმ ყველა დაბრკოლება გადალახა და, ვან რუსტის სკეპტიკური შეფასებით, აბსოლუტურად შთაგონებული და აღფრთოვანებული ბრბოს გასახარად, ფინალის შემდეგ მთავარი პრიზიც აათამაშა ხელში.

**ავთანდილ სვანიძე**

# შტეფი აღარ ისვენებს



გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ შვიდი წარუმატებელი ცდის შემდეგ, სამშაბათს დაწყებულ ჰანოვერის ტურნირზე ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი შტეფი გრაფი მართლაც დაუბრუნდა ასპარეზობას. მეწყვილე ბარბარა რიტნერთან ერთად შტეფიმ მაიკე ბაბელისა და ვილტრუდ პრობსტის დუეტი დაამარცხა 6:3, 6:1 და თვალცრემლიანმა მოუხადა მადლობა ფეხზე წამომდგარ 3500 მაყურებელს. „ასეთ მიღებას არ ველოდი და თავი ვერ შევიკავე, გული ამიჩუყდა. ეს ორი თვე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იყო. გმადლობთ, ვისაც ჩემი მაინც გჯეროდათ". გუშინ შტეფიმ რვა თვის განმავლობაში პირველ ერთეულთა შეხვედრაში თანამემამულე ანდრეა გლასიც დაამარცხა 6:2, 6:4.

# სპარსული ნადავლი

ირანელები ისლამური რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავს ზეიმობენ, ამ თარიღს სპორტული შეჯიბრებებითაც აღნიშნავენ და საამისოდ მრავალი სტუმარიც იწვიეს.

ჩვენი ბალახის ჰოკეისტები ირანში თამაშს ნაჩვევნი არიან, ღვთის მადლით, ახლაც მოახერხეს იქ გამგზავრება და შინ ხელდამშვენებულნიც დაბრუნდნენ. ჰამადანის ტურნირზე ქართველთა გუნდმა, რომელსაც ქუთაისის „იმერეთი" წარადგენდა, ჯერ ქვეჯგუფში იმარჯვა, მერე კი, გადამწყვეტ მატჩში ირანის ახალგაზრდულ ნაკრებსაც 4:0 მოუგო და პირველად გაიმარჯვა ასეთი დონის საერთაშორისო ტურნირში. ჩვენიანთაგან განსაკუთრებით გამოირჩა სოსო სვანიძე, რომელმაც ამ მატჩში სამი ბურთი გაიტანა.

ბუშერში კი თბილისელ ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა გუნდმა იასპარეზა, რომელიც თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს შეწევნით მოემზადა და გაემგზავრა ირანს. ჩვენებში ყველაზე გამოცდილი ჯონდო მუზაშვილი იყო და პირველობდა კიდეც 73 კგ წონაში. მე-2 ადგილი დაიკავა ლაშა სარდანაშვილმა (60), მე-3 — გიორგი ნადირაშვილმა (73), გელა ჭურჭელაურმა (90), იუზა და ალექსანდრე ბოლქვაძეებმა. კახა გუჯეჯიანიც მესამე იყო, ოღონდ ორ — მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში.

# ჩვენებური პლეი ოფი: ძველი და ახალი ამბიციები

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტური, თუმცა ცხრილში კიდევ არის თავისუფალი ადგილები, რადგან ქუთაისის „რიონმა“ თბილისში ტურზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა და მათ 10 მარტიდან გამოტოვებული მატჩების ჩატარება მოუწევთ. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველაფერი გარკვეულია. ქუთაისელთა გუნდი არაა იმ სიძლიერის, პლეი ოფში უკვე მოხვედრილი რვა გუნდის სატურნირო მდგომარეობა შეცვალოს და მის მატჩებს პრაქტიკულად მხოლოდ ცხრილის ბოლოში შეუძლია კორექტივის შეტანა.

ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა რუსთავის „აზოტმა“. რუსთაველებმა ჩინებულად ჩაატარეს ტურნირი და მათი უპირატესობა უკანასკნელ ტურში სდასუს-თან დამარცხებამაც ვერ დააყენა ეჭვქვეშ. გუნდს აშკარად ატყვია მწვრთნელ ოთარ ხმელიძის ხელი როგორც შეტევაში, ისე დაცვაში, რაც ყველაზე უფრო სასიხარულოა. გუნდის ლიდერები არიან ირაკლი ჯაფარიძე და რამაზ გოგობერიშვილი. ჯაფარიძე მართლაც საუკეთესოდ თამაშობს ამ ჩემპიონატში. გოგობერიშვილი კი ის კაცია, რომელიც ასე სჭირდებოდა რუსთაველებს სწრაფი შეტევების ორგანიზებაში. ხმელიძემ ძალზე კარგად მოუძებნა ადგილი ვლადიმერ ბოისს, რომელიც სეზონიდან სეზონამდე ხვეწს ოსტატობას და მისგან, ალბათ, ძალიან ბევრს უნდა ველოდეთ მომავალში. ძალზე კარგ გამთამაშებლად ჩამოყალიბდა ზაზა გაბისონია, რომელსაც შეტევის სადავეები უპყრია ხელთ და მისი ყოველი მოქმედება გააზრებულია. ძალზე მოუმატა ლევან წიკლაურმა. დიდი ძალაა მიხეილ ბერუაშვილი. გარდა ამისა, რუსთაველებს კარგი რეზერვიც ჰყავთ კიკვიძის, კოჭლამაზაშვილის, გოგოლაძის და სხვათა სახით. მოკლედ, რუსთაველები ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატები არიან. თუ მათ ძველმა სენმა, ზედმეტმა ნერვიულობამ არ შეუშალა ხელი.

რუსთაველთა შემდეგ მდგომი ოთხი გუნდი შედარებით თანაბარი ძალისაა. ამ ოთხეულში უპირატესობა, ალბათ, „დინამოს“ უნდა მივანიჭოთ, რომელმაც შენგელიას დაბრუნებით ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა გადაწყვიტა. კარგად თამაშობენ უკანახაზელები — ხოშტარია და მაისურაძე, თავდამსხმელები — კილაძე და ბეჟანიშვილი. მოსეშვილმა წელს რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელიც დააწინაურა და ჩანს, „დინამო“ ადვილად არ დათმობს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

ჩემპიონის, „ვითას“ შემადგენლობიდან წლეულს ძალზე ბევრი კალათბურთელი წავიდა. თან როგორები: ნაცვლიშვილი, ქარაბაკი, სანაძე, ჩხეიძე, შენგელია, ტურაშვილი, დადიანი, თორთლაძე, უსტიაშვილი. „ვითას“ წელს გარდამავალი სეზონი აქვს. მისი ხელმძღვანელობა ახალი გუნდის შექმნას ცდილობს, მაგრამ „ვითას“ ამბიციები მაინც ძველებური შერჩა. ჩემპიონმა ამ ვითარებაშიც, ძლიერ კონკურენტებთან ბრძოლაში, მესამე ადგილი დაიკავა და, ალბათ, უბრძოლველად არც ის შეელევა ჩემპიონის ტიტულს. მაგრამ გუნდი მაინც ფორმირების პროცესშია და ჯერ კიდევ არა აქვს გამოკვეთილი თავისი სახე.

სდასუ-ში გამოცდილი მოთამაშეები შეგროვდნენ და ეს ხშირად აძლევს გუნდს გადამწყვეტ უპირატესობას. ისეთ მოთამაშეებს, როგორნიც არიან სანაძე, ჩერქეზიშვილი, დერიუგინი, თუ თამაში წაუვიდათ, მატჩის ბედის გადაწყვეტაც შეუძლიათ. ამ სამ ვეტერანს დიდად ეხმარებიან ოთიურიძე და გიორგი ჩხეიძე. ჩხეიძის თამაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ. იგი „შევარდენში“ უცილობელი ლიდერი იყო, ახლა კი სდასუ-ში ბევრ შავ სამუშაოს ასრულებს და შესანიშნავადაც. გადაცემების ჩაჭრა, ფარქვეშ ბრძოლა, ბურთის გათამაშებაც — ყველგან იგია და სდასუ-ს ლიდერებს ბევრი სამუშაოდან ათავისუფლებს. შეტევის დაგვირგვინებაც კარგად შეუძლია, მაგრამ გუნდის ინტერესებისთვის ამას უფრო გამოცდილ პარტნიორებს ანდობს.

ამ ტურნირს ეშხი შემატა თსუ-ს გუნდმა, რომელმაც ნამდვილი ბრძოლა გაუმართა ლიდერებს და არაერთხელ დაამარცხა კიდეც. ჩემპიონატის პირველმა ნახევარმა ერთი ხუთეულის (ელენტი, ცხვედიანი, წოწელია, ბაბიაშვილი, ნიჟარაძე) მხრებზე გადაიარა. მეორე წრეში კარგად მოთამაშე ნიკოლაძეც შეეშველა, სხვებიც გამოჩნდნენ და თსუ ყველა გუნდისთვის ძნელი მეტოქე გახდა. ძალზე კარგ სეზონს ატარებენ ელენტი და ბაბიაშვილი. ცხვედიანი მართალია აღარაა ძველებურ ფორმაში, მაგრამ კრიტიკულ მომენტში მისი გამოცდილება გუნდს ძალზე ადგება.

პლეი ოფში მოხვედრილი სხვა სამი გუნდი შესამჩნევად ჩამორჩება ხუთეულს. კარგად ითამაშეს ახალგაზრდა არმიელებმა, რომელთაც შესამჩნევად მოუმატეს შარშანდელთან შედარებით.

„შევარდენის“ გამოცდილმა გუნდმა ზოგ შეხვედრაში კარგად ითამაშა. სამქულიანების სროლაში კი შევარდენელები ლიდერებსაც არ უდებენ ტოლს. თან ის ერთადერთი გუნდია, ვინც დიდი ხუთეულის წარმომადგენელი დაამარცხა (რა თქმა უნდა, მე-6 — მე-13 ადგილებზე გასულებს ვგულისხმობ).

ძალზე ცუდ დღეში აღმოჩნდა „მაკაბი“, რომელსაც ზედ ფინიშის სწორზე ორი წამყვანი მოთამაშე — ხუხაშვილი და ტალაბიძე გამოაკლდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი წრის მერე მათ იაშვილიც არ ჰყავდათ, უნდა ვაღიაროთ, რომ მაკაბელებმა დიდი თავდადება გამოიჩინეს — ასეთ ვითარებაში რვა უძლიერესში მოხვდნენ.

მართალია, ამ სამი გუნდისთვის ძნელი იქნება პლეი ოფში ლიდერებთან ბრძოლა, მაგრამ გამორიცხული არაა, თითო თამაშში ლიდერებს ბრძოლა გაუმართონ.

მოკლედ, პლეი ოფში, რომელიც 16 მარტიდან დაიწყება, ხვდებიან: „აზოტი“ — „მაკაბი“, „დინამო“ — „შევარდენი“, „ვითა“ — ასკ და თსუ — სდასუ. მანამდე გუნდები 10 მარტიდან ქუთაისის „რიონთან“ გამოტოვებულ შეხვედრებს გამართავენ.

**გია აგლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | აზოტი | 24 | 23 | 1 | 2445:1918 | 47 |
| 2. | დინამო | 24 | 20 | 4 | 2316:1822 | 44 |
| 3. | თსუ | 24 | 18 | 6 | 2201:2003 | 42 |
| 4. | ვითა | 23 | 18 | 5 | 2010:1831 | 41 |
| 5. | სდასუ | 23 | 17 | 6 | 2141:1798 | 40 |
| 6. | ასკ | 24 | 13 | 11 | 2086:2299 | 37 |
| 7. | მაკაბი | 24 | 10 | 14 | 1994:2054 | 34 |
| 8. | შევარდენი | 23 | 10 | 13 | 20082057 | 33 |
| 9. | სტუ | 23 | 8 | 15 | 1943:2037 | 31 |
| 10. | დინამო 2 | 23 | 7 | 16 | 1801:2079 | 30 |
| 11. | კოლხა | 23 | 2 | 21 | 18082092 | 25 |
| 12. | მერანი | 23 | 0 | 23 | 1539:2369 | 23 |
| 13. | რიონი | 17 | 2 | 15 | 1162:1652 | 19 |


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge


რეგულარული ჩემპიონატი

# დღეს მაიკლის დღეობაა




35 წლის მაიკლ ჯორდანი

16 თებერვალი

**კლიპერსი 99:121 ჰიუსტონი**

**კლიპერსი: მიურეი (18+10 მოხსნა)**
**ჰიუსტონი: დრექსლერი (25), ოლაჯუონი (21+20 მოხსნა)**

კლიპერსი ჰიუსტონს პირველ ნახევარში თუ გაუძალიანდა, მესამე მეოთხედში კი ორგზის ჩემპიონებმა ბარკლის (22 ქულა) წინამძღოლობით ლოსანჯელესელები ადვილად გატეხეს და მეოთხედი 34:20 მოიგეს. თამაშის მერე ბარკლიმ მეტოქეთა გუნდს საშინელი უწოდა, ბოლომდე თამაში არ იციანო, რამაც, ცხადია, კლიპერსელთა გულისწყრომა გამოიწვია: ჯეიმს რობინსონმა თქვა, ვინ არის ეს ბარკლი, ჩვენზე აუგს რომ ამბობს, მაგას ჩვენს გასახდელში არ შემოუხედავს და არც იცის, როგორ ვცდილობთ მოგებასო. არადა, კლიპერსმა ბოლო 18 მატჩიდან 16 წააგო.

**იუტა 96:90 შარლოტი**

**იუტა: მელოუნი (23+11 მოხსნა)**
**შარლოტი: რაისი (30), უესლი (24)**

შარლოტის ლიდერმა გლენ რაისმა თავისი 30 ქულიდან ნახევარი ბოლო 3 წუთში გაახერხა, მაგრამ იუტას მაინც ვერ შეუშალა ხელი, ზედიზედ მეხუთედ მოიგო. შარლოტთან მოგების შემდეგ იუტა ერთადერთი გუნდია, რომელმაც ცენტრალური დივიზიონის რვავე გუნდი გაამწარა შინ. ამ დღეებში იუტას ხელმძღვანელობას ერთი გაცვლა მოუკვარახჭინებია: ისინი ორლანდოსგან ცენტრ რონი საიკლის მიიღებენ კრის მულინის, გრეგ ფოსტერის და მომავალ დრაფტში პირველი არჩევის უფლების საფასურად. მას შემდეგ, რაც 1985 წელს იუტას ლიდერებმა კარლ მელოუნმა და ჯონ სტოქტონმა პირველად ითამაშეს ერთად, იუტას ხეირიანი ცენტრი არ ჰყოლია. ახლა იუტა საიკლის შემატებით გაიადვილებს ფარქვეშ ბრძოლას.

**ნიუ ჯერსი 103:92 მილუოკი**

**ნიუ ჯერსი: კიტლზი (19), ვან ჰორნი (18), კასელი (18)**
**მილუოკი: რობინსონი (30), ალენი (24+10 მოხსნა)**

**ატლანტა 81:85 ორლანდო**

**ატლანტა: სმიტი (22), მუტომბო (19+19 მოხსნა)**
**ორლანდო: ანდერსონი (28), გრანტი (17+16 მოხსნა)**

ორლანდოელმა ნიკ ანდერსონმა სეზონში ყველაზე მეტი ქულა მიითვალა და გაამარჯვებინა პენი ჰარდევეისა და რონი საიკლის გარეშე მოთამაშე გუნდს. ატლანტელმა სედრიკ ჰენდერსონმა ზედიზედ მეოთხედ ჩაიწერა 18 ქულა.

17 თებერვალი

**პორტლენდი 101:83 გოლდენ სტ.**

**პორტლენდი: რაიდერი (24), ონილი (18+12 მოხსნა)**
**გოლდენ სტეიტი: დელკი (26), დამპიე (16+12 მოხსნა)**

პორტლენდმა პირველი მეოთხედი 31:10 მოიგო და აქედანვე გატეხა მეტოქე. პორტლენდელმა ონილმა 12 მოხსნით კარიერის რეკორდი დაამყარა. კარგად გაისარჯნენ ყოფილი ტორონტოელები. სტუდემაიერმა 12 ქულას 8 მოხსნა და 6 პასი დაამატა, უოლტ უილიამსმა 15 ქულა და 5-5 მოხსნა-პასი გაახერხა. თავი შეირცხვინა მესამე ექსტორონტოელმა კარლოს როჯერსმა, რომელიც ორადორ ქულას დასჯერდა. პორტლენდმა, რომელსაც თებერვლის 8 შეხვედრაში ერთადერთი მარცხი უწვნევია, ზედიზედ მეხუთედ მოიგო.

**დენვერი 77:91 ნიუ იორკი**

**დენვერი: ელისი (23+11 მოხსნა)**
**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21)**

**დალასი 77:95 ფინიქსი**

**დალასი: ფინლი (22)**
**ფინიქსი: რობინსონი (20), მაკდაიესი (18+13 მოხსნა)**

დალასელმა ფინლიმ ყოფილ თავისიანებს 22 ქულა კი ჩაუგდო, მაგრამ მარტო ვერას გახდა.

**ჩიკაგო 105:97 ინდიანა**

**ჩიკაგო: ჯორდანი (27), პიპენი (25)**
**ინდიანა: მილერი (34)**

ინდიანასთან თამაშის დღეს მაიკლ ჯორდანს 35 წელი შეუსრულდა. იუბილარმა, მართალია, ოპონენტ რეჯი მილერზე (34 ქულა, 7 სამქულიანი) ნაკლები ქულა მიითვალა, მაგრამ მას სკოტი პიპენი, ტონი კუკოჩი (19 ქულა) და დენის როდმანი (13 მოხსნა) წაეხმარნენ და ჩიკაგომ თავის აუტკივებლად სძლია ინდიანას. უშუალო კონკურენტთან გამარჯვებით ჩიკაგომ დაიბრუნა პირველი ადგილი ცენტრალურ დივიზიონში და უცაბედად აღზევებული ინდიანა მეორეზე ჩაანაცვლა.

**ბოსტონი 99:102 საკრამენტო**

**ბოსტონი: მაკარტი (20), უოლკერი (18+17 მოხსნა)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (23), ჯონსონი (21), უილიამსონი (21)**

**მაიამი 110:84 მინესოტა**

**მაიამი: ლენარდი (26), ჰარდევეი (17), მურნინგი (17)**
**მინესოტა: გარნეტი (14)**

ტომ გულიოტას გარეშე მოთამაშე მინესოტამ ვერაფერი მოუხერხა მაიამის მსროლელ ვოშონ ლენარდს, რომელმაც 5 ნასროლი სამქულიანიდან ოთხი, საერთოდ კი 13-დან 10 სროლა ჩააგდო.

**ფილადელფია 98:97 კლივლენდი**

**ფილადელფია: აივერსონი (27), კოულმენი (17+15 მოხსნა)**
**კლივლენდი: პერსონი (28), ილგაუსკასი (24+10 მოხსნა), კემპი (20)**

კლივლენდის ახალბედა გამთამაშებელმა ბრევინ ნაითმა (15 ქულა, 10 პასი), რომელიც NBA-ში საუკეთესოა ჩაჭრებში, თამაშის დამთავრებამდე 2,6 წამით ადრე ააცილა და ზედიზედ მესამედ წააგებინა სტუმრებს.

**სან ანტონიო 95:94 დეტროიტი**

**სან ანტონიო: დანკანი (28+11 მოხსნა +7 ჩაჭრა)**
**დეტროიტი: დუმარსი (21), ჰილი (20+12 პასი)**

სან ანტონიოს მოაგებინა აივერი ჯონსონმა (15 ქულა), ვინაც 4,4 წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო. დეტროიტელ ჰილს შეეძლო თამაშის ხსნა, მაგრამ მისმა შვიდი მეტრიდან ნასროლმა ვერ მიაღწია მიზანს. დეტროიტელმა დუმარსმა 21 ქულა დააგროვა, სულ 13 წლიან კარიერაში 15506 ქულას უწია და 16 ქულით გადაუსწრო დეტროიტის ისტორიაში მეორე ბომბარდირს დეივ ბინგს. ამათზე წინ კი ლეგენდარული აიზია ტომასი დგას (18822 ქულა)

**ირაკლი ფირაშვილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 34 | 18 | 65,4 |
| ნიუ ჯერსი | 31 | 21 | 59,6 |
| ნიუ იორკი | 29 | 21 | 58,0 |
| ვაშინგტონი | 27 | 26 | 50,9 |
| ორლანდო | 25 | 27 | 48,1 |
| ბოსტონი | 23 | 29 | 44,2 |
| ფილადელფია | 16 | 33 | 32,7 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 39 | 15 | 72,2 |
| ინდიანა | 36 | 15 | 70,6 |
| შარლოტი | 30 | 21 | 58,8 |
| ატლანტა | 30 | 23 | 56,6 |
| კლივლენდი | 28 | 24 | 53,8 |
| მილუოკი | 25 | 26 | 49,0 |
| დეტროიტი | 23 | 28 | 45,1 |
| ტორონტო | 11 | 40 | 21,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| იუტა | 35 | 15 | 70,0 |
| სან ანტონიო | 35 | 16 | 68,6 |
| მინესოტა | 28 | 22 | 56,0 |
| ჰიუსტონი | 26 | 25 | 51,0 |
| ვანკუვერი | 14 | 37 | 27,5 |
| დალასი | 10 | 42 | 19,2 |
| დენვერი | 5 | 46 | 9,8 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 39 | 12 | 76,5 |
| ლეიკერსი | 35 | 14 | 71,4 |
| ფინიქსი | 34 | 16 | 68,0 |
| პორტლენდი | 31 | 20 | 60,8 |
| საკრამენტო | 24 | 29 | 45,3 |
| კლიპერსი | 11 | 41 | 21,2 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 41 | 18,0 |

# ბიჭებს ჰაერი გამოაცვლევინეს

ეს სეზონი ნამდვილად არ არის საუკეთესო „ტორონტო რეპტორსისთვის“. ზედიზედ 17 წაგების შემდეგ გუნდმა დაითხოვა გენერალური მენეჯერი აიზია ტომასი და მის ნაცვლად გლენ გრუნუოლდი დაინიშნა. თუმცა, ვერც მან უშველა მაინც და მაინც საქმეებაწეწილ ტორონტოს და 14 თებერვალს გუნდს მწვრთნელი დარელ უოლკერი და საუკეთესო მოთამაშე, 178-სანტიმეტრიანი დეიმონ სტუდემაიერიც გამოაკლდნენ. მწვრთნელი თავისი ნებით წავიდა იმაზე განაწყენებული, სტუდემაიერი რატომ გაუშვით. გუნდის მეპატრონეებს გულში ჰქონდათ ამოჭრილი სტუდემაიერის გაცვლა და, გამოაცხადეს თუ არა ამის შესახებ, მსურველ გუნდთა რიგი დადგა. სულ ცოტა, ექვს კლუბს მაინც სურდა სტუდემაიერის გადაბირება. ამათგან ყველაზე რეალური „ჰიუსტონ როკეტსის“ წინადადება იყო, მაგრამ ტორონტომ თავი შეიკავა და საბოლოოდ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“ დაყაბულდა. პორტლენდმა სტუდემაიერის გარდა უოლტ უილიამსი და კარლოს როჯერსი მიიღო, სანაცვლოდ კი გარი ტრენტი, ელვინ უილიამსი, დრაფტში პირველი არჩევის უფლება და კენი ანდერსონი დათმო. ეს უკანასკნელი დიდ უარზე იყო, მაგრამ ვის რა შეასმინა. ერთი სიტყვით, 1995-96 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედამ პორტლენდში პირველი მატჩი 17 თებერვალს „გოლდენ სტეიტის“ წინააღმდეგ ითამაშა.

ამ დღეებში კიდევ ერთი გაცვლა გაიჩარხა: „გოლდენ სტეიტიდან“ ფილადელფიაში გადაბარგდნენ ჯო სმიტი და ბრაიან შოუ, იქიდან აქეთ კი კლარენს უეზერსპუნი და ჯიმ ჯეკსონი. ჯო სმიტი 1995 წლის დრაფტის პირველი ნომერი და სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა იყო. წელს მისი საშუალო შედეგიანობა ჯერჯერობით 17,3 ქულა და 6,9 მოხსნაა, იმაზე ნაკლები, რასაც იგი გასულ სეზონში ახერხებდა. მას მერე, რაც მწვრთნელის ცემისთვის ლატრელ სპრიუელი დაითხოვეს, იგი, ფაქტობრივად, გუნდის ლიდერი გახდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ 208-სანტიმეტრიან თავდამსხმელს მისივე ამპლუის შებერებული კლარენს უეზერსპუნი და მსროლელი ჯიმ ჯეკსონი ამჯობინა. ვნახოთ, როგორ მოუხდებათ ბიჭებს „ჰაერის გამოცვლა“.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29